31 იანვარი წელიწადი მეორე ფასი ყველგან 15 კაპ.

F221
1930

№ 2 (26)

# დროშა



**ინდუსტრიალიზაციის გზით სოციალიზმისკენ!**

თბილისის ახალი აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, რომლის მოწყობილობაც გაკეთდა ადგილობრივ

# ფოტო-ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუშა-გამომგონებლებს უნდა მიეცეთ ფართო გზა და საშუალება აღმოჩენებისთვის. მუშა ოდიკაევსკს ლენინგრადში გამოუგონია გრამოფონის თავი, რომელიც ხმას ორჯერ ადიდებს და ბუნებრივად ხდის. ყველა ინსტანციებში და კომისიებში მუშა ოდიკაევსკის გამოგონება საუკეთესოდ მიიჩნიეს მთელს მსოფლიოში და ლენინგრადის მუზტრესტს დაავალეს ყოველ წლივ 5.000 ცალი გამოუშვას, ცალი 98 კაპეიკად.



პოლონეთის რკინის-გზის სადგურების მოდელი.



საბჭოთა ტურბინები. ლენინგრადის ლითონის ქარხანაში მზადდება უდიდესი ტურბინები. 10000-22000 კილოვატიანი ძალის. სურათზე ტურბინის ქარხანა.



საფრანგეთის კოლონისტები ალჟირში ადგილობრივ მცხოვრებთაგან რაზმავენ ახალ ჯარს ალჟირის გლეხობის წინააღმდეგ. სურათზე: ალჟირელი ჯარისკაცები საფ. იმპერიალისტ. იარაღად.



ამერიკის ობსერვატორიის უდიდესი „ტელესკოპი“, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ელექტრონს ვარსკვლავთა კვლევა-ძიების დროს.



„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა“. ამერიკის ბურჟუაზია ბევრს ლაპარაკობს განიარაღების და მშვიდობიანობის შესახებ, სინამდვილეში კი აგებს უშველებელ სიდიდის ზარბაზნებს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

F686



## ვ. ი. ლენინი

სიტყვას ამბობს გრამაფონის ფირფიტზე აღსაბეჭდათ

# აკადემიკოსი ნ. მარრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოსი ნ. მარი დაბადა 1864 წ. 25 დეკემბერს, გურიაში, სოფ. ციხეში. მისი მამის მამა იყო მებაღე, რომელიც უკანასკნელ გურიის მთავარმა გამოიწერა ინგლისიდან (შოტლანდიიდან). ეს მებაღე შემდეგ გურიაში დაბინავდა, სადაც მისი შთამომავლობა სამ კომლად ეხლაც ცხოვრობს. დედა ნიკო მარრისა იყო შარაშიძის ქალი, რომელმაც პატარა ნიკო ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიკო მარრი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე, რომელიც 18 8 წ. დაამთავრა. როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში ის ყურადღებას იპყრობდა თავისი მაღალ ნიჭიერებით, ასე რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის გადაწყვეტილი იყო მისი სამეცნიერო მუშაობისთვის დატოვება. ნ. მარრის სურვილი იყო ქართულ ფილოლოგიაში სამუშაოდ დარჩენა, მაგრამ პროფ. ა. ცაგარელმა, რომელსაც მაშინ კათედრა ეჭირა, არ მოინდომა მისი დატოვება, რის გამო ნ. მარრი იძულებული იყო დარჩენილიყო სომხურ ფილოლოგიის კათედრასთან პროფ. პატკანოვთან. ორი წლის შემდეგ ნ. მარრი უკვე პრივატ-დოცენტად ირიცხებოდა სომხურ ფილოლოგიაში. ამ გარემოებას ნ. მარრი ერთგვარი გულნაკლულობით იგონებს, რადგან დიდხანს (10 წელს) სომხურ ფილოლოგიის კათედრაზე ყოფნამ მას ხელი შეუშალა თავის დროზე გაეღრმავებინა მუშაობა ქართულ ფილოლოგიისა და საზოგადოდ ქართველურ და წმიხდა კავკასიურ ენებში (სომხური ენა ითვლება ნარევ ენად ინდო-ევროპიულ ენათა ელემენტების თვალსაჩინოდ წარმოდგენით). 1900 წ. ნ. მარრი გახდა პროფესორი და ამ დროიდანვე იწყება მისი მეტად ინტენსიური მუშაობა კერძოდ ქართულ ფილოლოგიისა და ქართველურ ენებში, თუმცა ასეთ მუშაობას ის წინადაც აწარმოებდა. თავისი ნაშრომებით ნ. მარრი სამართლიანად ითვლება თანამედროვე ქართულ მეცნიერულ ფილოლოგიის საფუძვლის ჩამყრელად. პარალელურად ის აწარმოებდა ენათ-მეცნიერულ მუშაობას. მალე მან წამოაყენა ახალი თეორია ეგრედ წოდებულ იაფეტურ ენათ-მეცნიერების შესახებ. ეს თეორია თავდაპირველად იაფეტურ ენათ-მეცნიერების საგნად ხდიდა უმთავრესად კავკასიურ ენების (სომხურის თანმითვლით) ქართველურ ენების (ქართულ-მეგრულ-სვანურის) საფუძვლად დადებით. მაგრამ შემდეგ, კვლევის ასპარეზის თანდათან გაფართოების გამო იაფეტური ენათმეცნიერების ფარგლები კოლოსალურად გაიზარდა. არაჩვეულებრივი ენერგიით და ნიჭით ნ. მარრი აწარმოებდა საენათმეცნიერო კვლევის ობიექტთა გამ-



აკადემიკოსი ნ. მ ა რ რ ი

რავლებას და თვით შეუდგა სხვადასხვა მრავალ ცოცხალ ენათა გარდა, მაგ. ბასკური ენის (ისპანიაში), ბერბერულის (ჩრდ. აფრიკაში), ჩუვაშურის და თვით ჩინური ენის შესწავლას. ამჟამად იაფეტური ენათმეცნიერება წარმოადგენს სრულიად ახალ საენათმეცნიერო სწავლას, რომელიც ძირიანად არღვევს და ეწინაალმდეგება ევროპიულ მეცნიერებაში გაბატონებულ საენათმეცნიერო მოძღვრებას. ნ. მარრის თეორია არღვევს გაბატონებულ და შესისხლხორცებულ აზრს რაღაც ერთ პირვანდელ ენის არსებობის შესახებ, რომლისაგან შემდეგ ვითომ წარმოიშვნენ სხვადასხვა ენები. ნ. მარრის თეორიით პირიქით კაცობრიობის მეტყველების განვითარება მომდინარეობდა მრავალ სხვადასხვა ცალკე ენებიდან, რომელნიც წარმოიშვნენ ათას წლოვან პერიოდების სიგრძეზე შრომის პროცესის განვითარებაზე დამოკიდებულებით. ამ მრავალ სხვადასხვა ენებიდან ურთიერთ შეჯვარედინების გზით და ერთმანეთზე მრავალმხრივი ზეგავლენით წარმოიშვნენ ისტორიაში კარგად ცნობილი და ეხლა უკვე მკვდარი ან აწ არსებული ენები. პირვანდელ ენების წარმოშობას ამგვარად საფუძვლად უდევს მატერიალური ბაზა—საწარმოო ძალთა ურთიერთობა და შრომის პროცესის თანდათან განვითარება. ენა, მაშასადამე, არის გარკვეულ საწარმოო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაყოფი და ამ ურთიერთობათა მომავალ განვითარებას მივყევართ ჩვენ ენების თანდათან დაახლოვებისაკენ და ბოლოს და ბოლოს ერთ საერთო საკაცობრიო ენისაკენ მომავალ უკლასო საზოგადოებაში. თავისი ამ დებულებებით იაფეტური ენათმეცნიერება წარმოადგენს მარქსიზმის ნამდვილ გამარჯვებას ერთ-ერთ რთულ სამეცნიერო დარგში—ენათმეცნიერებაში. რომელიც აქამდის ამ მხრივ ჯერ კიდევ აუღებელი იყო.

როგორც მოვიხსენიეთ იაფეტური ენათმეცნიერება ამჟამად ცდილობს კვლევის ფართობში მოათავსოს რაც შეიძლება მეტი ენა. ეგრედ წოდებულ ოჯახებად დაყოფა ენების (სემიტური, ინდო-ევროპიული ოჯახი და სხ.) უკვე უარყოფილია. განსახღვრული ტიპის ენები წარმოადგენენ მხოლოდ ენების გარკვეულ სისტემას, მთლიან ენობრივ განვითარების ცალკე სტადიებს (საფეხურებს). ამ მხრივ ეგრედ წოდებული იაფეტური ენები (მათ შორის ქართულიც) წარმოადგენენ კაცობრიობის განვითარების ცალკე და უფრო ძველ საფეხურს, ვიდრე ეგრედ წოდებული ინდო-ევროპიული ენები.

უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში დაიბეჭდა უკვე 70-ზე მეტი სხვადასხვა შრომა იაფეტურ ენათმეცნიერების ცალკე საკითხებზე. მთავარი შრომები ეკუთვნის რასაკვირველია თვით ამ თეორიის სულის ჩამდგმელს ნიკო მარრს, მაგრამ მასთან ერთად ცალკე საკითხებზე მუშაობდენ კიდევ შემდეგი მეცნიერებიც: თ. ბრაუნი, გ. ბრიში, ბ. ვლადიმირცევი, კ. პეტროვი, ი. მეშჩანინოვი, ა. სამოილოვიჩი, ა. ჰენკო და სხვანი.

მიუხედავად თავისი 65 წლის ხნოვანებისა, ნ. მარრი ჯერ კიდევ ჯან-ღონით და ენერგიით სავსე მეცნიერია. მრავალ ენების მცოდნე, ის კიდევ განაგრძობს ახალ საკვლევ ობიექტებზე მუშაობას. ამჟამად მას უსრულდება დიდი ხნის ნატვრა საქართველოსა და კავკასიაში საენათმეცნიერო მუშაობის ნაწილობრივ გადატანის შესახებ. მის მიერ 10 იანვარს თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტში წაკითხული ლექცია წარმოადგენს ამ გახზრახულ მუშაობის შესავალს.

ს. კ.



ლეძაძამის თემის თუთის ხის სანერგე-პლანტაცია. კოლმეურნეობათა წევრები და თემის მშრომელი მოსახლეობა კოლექტიურ სამუშაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქ. სამანქანო საცდელ სადგურზე

## (სადგური ემზადება გაზაფხულის თესვისათვის)

—საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს უგეგმობა მაზრების სას. სამ, იარაღ-მანქანებით მომარაგების საქმეში. ტრაქტორების მხოლოდ გეგმიანი გამოყენება.— ასე ამბობდა მთავრობის 1925 წლის დეკრეტი.



მიწსახკომის სამანქანო სადგურზე ტრაქტორის საცდელი სინჯვა

იმ წლებში ეს დეკრეტი აუცილებელი იყო. ყოველგვარი „ფორძენები“ „ხოლტები“, „კლეტარკები“ და სხვ. გაძლ ერებული ტემპით შემოჰქონდათ უცხოელებს ჩვენს ქვეყანაში. შემოწმების და წინასწარი გამოცდის გარეშე ტრაქტორები იგზავნებოდა მაზრებში, სადაც „ადგილობრივი მუსიკალური ძალების“ საზეიმო ხმების ქვეშ აბარებდნენ გლეხებს საბოლოო გამარჯვების მიზნით ხარ-კამეჩზე. მაგრამ გადიოდა დღეები, ტრაქტორი ქშუტუნებდა, მიათრევდა ფოლადის გუთანს და ბოლოს ღონე მიხდილი გადადიოდა რეზერვში.



ტრაქტორის რემონტი მუხრანის სახ. მამულში

საქართველოში განსაკუთრებული ნიადაგის სხვადასხვაგვარი პირობებია სას. სამ. მანქანებისათვის. ის რაც საზღვარგარეთისათვის კარგი და საიმედოა, ჩვენთვის არ ვარგა. ეს ეხება აგრეთვე ცნობილ „ფორძონს“, რომელიც საქართველოს მაზრების უმეტესობისათვის გამოუსადეგარია.

დეკრეტის გამოშვებამ გამოიწვია საქართველოში სრულიად ახალი დაწესებულების, „სამანქ. ნო-საცდელ სადგურის“ დაარსება. წინად ის მოთავსებული იყო ბნელ და ვიწრო შენობაში, ეხლა კი მოთავსებულია სრულიად ახალ შენობაში.

დღევანდლამდე საქართველომ „იცნო“ ტრაქტორების მხოლოდ ორი სისტემა „ინტერნაციონალი“ და „ხოლტი“. ეხლა თესვის კამპანიასთან დაკავშირებით სადგურზე მოვიდა პირველი საბჭოთა მერცხალი „კრასნი პუტილოვეცი“. ამ ტრაქტორის გამოცდამ სრულიად გაამართლა მასზე დამყარებული იმედები.

სადგური აწარმოებს მანქანების „წმენდას“. ჯერ ქიმიური ანალიზი ლაბორატორიაში მიკროსკოპით, მენზურკებით, რეტორტებით, შემდეგ მასალის და კონსტრუქციის შემოწმება მექანიკურ სახელოსნოში და მინდვრათ. და მხოლოდ მაშინ, როდესაც მანქანები გაივლიან ყველა ამ გამოცდებს, ეძლევა მათ საქართველოში „შემოსვლის“ უფლება.

სადგურის სიტყვა—კანონია! ამიტომ არის, რომ არა ერთი მანქანა იყო დაწუნებული. ზო-



ამერიკიდან მიღებულ გუთნის გამოცდა

გიერთმა ფირმებმა კი (მაგ. „ოლივერ“-მა), როდესაც სადგურისაგან მიიღო ცნობა მათი გუთნების უვარგისობის შესახებ ჩვენი პირობებისათვის, შესცვალა მათი კონსტრუქცია და მათ ნაცვლად გამოგზავნა სრულიად ვარგისი. ეს ფაქტები ლაპარაკობენ იმ ყურადღებაზე, რომლითაც ეკიდებიან სადგურს არა თუ ჩვენი, არამედ საზღვარგარეთის ფირმებიც

ამ დღეებში ჩვენ შევცვალეთ ჩვენი ალფრთოვანებული აზრი საბჭოთა კავშირში პოპულიარულ სალეწ მანქანა „ლანცუ“-ზე. შევცვალეთ იმტომ, რომ გამოვცადეთ საზღვარგარეთული სალეწი მანქანა „კლეიტონ და შუტელვორტ“ რომელიც უფრო მაგარი. უფრო მარტივი კონსტრუქციის და უფრო იაფია.

ამჟამად სადგურზე გამოცდის პროცესში იმყოფება მელსტროის ქარხნის ტრიერი, „კრასნი აკსაის“ და „ოქტიაბრსკაია რევოლიუციას“ გუთნები, ახალი, ეხლახან მიღებული დისკოიანი ტრიერი „კარტერი“, საბჭოთა ქარხნის ტრაქტორები და სხვ.

სადგურის ავტორიტეტი დღითი-დღე იზრდება. თბილისის სამანქანო-საცდელი სადგური ჩართულია საბჭოთა კავშირის სადგურების ქსელში და მონაწილეობას იღებს ყველა თათბირებში. თესვის კამპანიასთან დაკავშირებით სადგური



მიწსახკომის სადგურზე სათეს მანქანის გამოცდა

დატვირთულია საგამოცდო სამუშაოებით, რომელშიაც მიზიდული არიან თბილისის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები.

ხშირად სადგურზე მოდიან გლეხები, რომელთაც აინტერესებს სადგურის მუშაობა, უსურვებენ მას შემდგომ წარმატებას ქვეყნის მაშინინიზაციის და ტრაქტორიზაციის საქმეში.

ფაქტიურად სადგური მუშაობს ამიერ-კავკასიის მასშტაბით, ვინაიდან ის ერთად-ერთია ფედერაციაში. სადგური სპობს უგეგმობას მანქანაიარაღების მიწოდების საქმეში, აყალიბებს ტრაქტორების და გუთნების სტანდარტულ ტიპს, ხელს უწყობს საზღვარგარეთული პროდუქციის შემოზიდვის შემცირებას, როსელიც „კრასნი



ა/კ-ისთვის საგაზაფხულო თესვისთვის მიღებული ტრაქტორები „კრასნი პუტილოვეც“-იდან

პუტილოვეცზე“ „ოქტიაბრსკაია რევოლიუციაზე“ და სხვ. ნაკლები ხარისხისა.

ამაშია სადგურის არსებობის უდიდესი მნიშვნელობა.

ედ. შმერლინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექსპლოატაცია

## სატირა 1 მოქმედებად

**მონაწილენი**

**1. ქალი**

**2. კაცი**

სცენა წარმოადგენს ბინის შესავალ კარებს. კარები გამოღებულია. გახუნებულ ტანსაცმელში ჩაცმული ქალი კარებში იატაკს რეცხავს სველი. ტილოთი.

**ქალი,**—ეხ... ეხ,..

**კაცი.**—(შემოდის პორტფელით) საკვირველია, რას არ გამოიგონებს ეს ჩვენი ადგილკომი. გინდა თუ არა გამოვიკვლიოთ შინა-მოსამსახურეთა ყოფა ცხოვრება, რადგან, ხმებია ზოგიერთი დამქირავებლენი არ იცავენ შრომის კანონებსო... რა ჩემი საქმეა შინა მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა... რას იზამ, დავალებას შესრულება უნდა. აჰა. აგერ ობიექტიც... საწყალი, რა ჯაფაშია...

**ქალი.**— ეხ...ეხ. .

**კაცი.**—ბოდიშს ვიხდი, შეიძლება გავიგო ამ ბინაში ვინ სცხოვრობს?

**ქალი.**—რად გესაჭიროებათ?

**კაცი.**—მე ერთი საკითხი მაქვს გამოსაკვლევი და იმისთვის.

**ქალი.**—აქ სცხოვრობს ივანე კბილაძე.

**კაცი.**—(ბლოკნოტს მოიმარჯვებს) ივანე კბილაძე... სად მსახურობს?

**ქალი.**—ალმასკომში მსახურობს ინსტრუქტორად.

**კაცი.**—აჰა... პარტიულია?

**ქალი.**—დიახ პარტიულია. ეხლა სამსახურშია წასული.

**კაცი.**—კეთილი, კეთილი... თქვენ დიდი ხანია მასთან ხართ?

**ქალი.**—რათ გაინტერესებთ?

**კაცი.**—ხომ გითხარით—გამოკვლევას ვაწარმოებ.

**ქალი.**—ხუთი წელიწადია.

**კაცი.**—რამდენი ოთახი აქვს დაქირავებული კბილაძეს?

**ქალი.**—სამი ოთახი.

**კაცი.**—სამივე ოთახს თქვენ უვლით და სწმენდთ?

**ქალი.**—მაშ ვინ მოუვლის... ყოველ დილაზე ვსწმენდ...

**კაცი.**—აჰა... სადილსაც თქვენ აკეთებთ?

**ქალი.**—მაშ ვინ გააკეთებს...

**კაცი.**—ალბად ბაზარშიც თქვენ დადიხართ სანოვაგის სასყიდლად...

**ქალი.**—მე დავდივარ.

**კაცი.**—სარეცხს ვინ რეცხს?

**ქილი.**—ვინ უნდა დარეცხოს თუ არა მე...

**კაცი.**—(თავისთვის) საწყალი, რა ჭაპანწყვეტაში ყოფილა!..

**ქალი.**—(გაათავა იატაკის რეცხვა შიგნით და გარედ დაიწყო)

**კაცი.**—ოჯახში სულ რამდენი სულია?.

**ქალი.**—ჩემიანათ ხუთი სული.

**კაცი.**—ოჰო! მაშასადამე ყველა ამათ თ ;ენ უვლით?

**ქალი.**—დიახ.

**კაცი.**—საჭმელი, სასმელი, დარეცხვა,—ეს ყველა თქვენს მოვალეობას შეადგენს?

**ქალი.**—დიახ.

**კაცი.**—(თავისთვის) აი თუ გნებავთ ექსპლოატაცია ამას ქვია!.. ერთი ეს მიბრძანეთ, მთელს ამ მუშაობას როგორ ასწრებთ ყოველ დღე?

**ქალი.**—მუდამ დღე ვდგები დილის ექვს საათზე და ვმუშაობ დაბინდებამდე.

**კაცი.**—როგორ, მუშაობის განსაზღვრული საათები არა გაქვთ?

**ქალი.**—რა საათები?

**კაცი.**—მაგალითად, რვა ს ათის სამუშაო დღეს არ იცავთ?

**ქალი.**—მიკვირს... ვის ახსოვს რვა საათის სამუშაო დღე...

**კაცი.**—არც დასასვენებელი დღეები გაქვთ? მაგალითად, კვირა დღე...

**ქალი.**—ჩემთვის სულ ერთია ყველა დღეები.

**კაცი.**—(თავისთვის) საბრალო ქალი!.. ჰმ, დამიხედეთ კომუნისტის ოჯახს, როგორ სასტიკ ექსპლოატაციას უწევს სხვის შრომას... უდიერად ხომ არ გეპყრობათ ამხანაგი კბილაძე?

**ქალი.**—არა, ერთმანეთში უსიამოვნება არ მოგვდის.

**აცი.**—(თავისთვის) კიდევ კარგი... დიდი მომთმენი კი ყოფილა საწყალი... თქვენ მარტოხელი ხართ?

**ქალი.**—როგორ თუ მარტო ხელი.

**კაცი.**—შვილები გყავთ?

**ქალი.**—შვილები მყავს.

**კაცი.**—რამდენი?

**ქალი.**—ორი შვილი მყავს.

**კაცი.**—(თავისთვის) საბრალო, ორი შვილის პატრონი და ასეთ წამებაში... შვილები სად გყავთ.

**ქალი.**—აქ მყავს, სახლში.

**კაცი.**—აქ გყავთ? მერე ივანე კბილაძე ნებას გაძლევთ თქვენი შვილები მის ბინაზე აცხოვროთ? აჰა, ალბათ ცალკე ოთახი გექნებათ მათთვის...

**ქალი.**—საკვირველია, რის ცალკე ოთახი!.. მაშ თავის შვილებს გარეთ ხომ არა გაჰყრის?

**კაცი.**—როგორ, ეს ორი შვილი კბილაძისაგან გყავთ?

**ქალი.**—მაშ ვისგან უნდა მყავდეს...

**კაცი.**—(თავისთვის) ფუი, ასეთ ადამიანს კი რა უთხრა!.. და ერთი ეს მიბრძანეთ, ალიმენტს გაძლევს რასმე კბილაძე?

**ქალი.**—აი ამბავი! ალიმენტი რათ უნდა მომცეს?

**კაცი.**—არც ალიმენტს გაძლევთ? მაშ ჯამაგირს რამდენს გაძლევთ?

**ქალი.**—ვის გაუგონია ჯამაგირი!..

**კაცე.**—ეს რა მესმის! ამდენი ტანჯვა-წვალება და ისიც, სრულიად უჯამაგიროთ. არა ეს აუტანელია! ეს პირდაპირ ინკვიზიტიური წესებია! ქალო, მერე რას მიჩერებიხართ ამ კბილაძეს რატომ არსად უჩივლებთ. ხომ იცით, რომ ჩვენი კანონები დაგიცავს ასეთ სასტიკ ექსპლოატაციისაგან.

**ქალი.**—მაკვირვებს თქვენი ლაპარაკი. თქვენ მე ვინ გგონივართ?

**კაცი.**—ვინა? თქვენ ხომ კბილაძის შინა-მოსამსახურე ხართ...

**ქალი.**—მოსამსახურეო? ვინ მოგახსენათ!.. მე კბილაძის ცოლი ვარ და არა მოსამსახურე...

**კაცი.**—(შეჩერდება. დამშვიდებული) ჰოო!.. მე-კი კბილაძის ოჯახის შინა-მოსამსახურე მეგონეთ...

**ქალი.**— ფუი... დაეთრევიან გამოკვლევაზე და ვერ არჩევენ ცოლს მოსამსახურისაგან... (შედის ბინაში და კარებს მოხურავს).

**კაცი.**—ამაოდ ჩამიარა შრომამ, ცოლი ყოფილა კბილაძისა და არა მოსამსახურე... ცოლთან რა საქმე მაქვს, მათზე ხომ არ ვრცელდება შრომის კანონები. (გადის).

**ფარდა.**

**გუგული ბუხნიკაშვილი**





რიონჰესის მუშაობა დამთავრების სტადიაშია.

# გაპონის სიკვდილი

9 იანვარს მუშებზე ჯარების მოულოდნელი თავდასხმის დროს გაპონი კინაღამ დაიღუპა. ის გადაარჩინა ესერმა **პ. რუტენბერგმა.** ჩქარა გაპონმა მოახერხა გაპარვა საზღვარ-გარეთ, სადაც შეეცადა ჯერ ს.-დ. დაახლოვებოდა და შემდეგ ესერებს, მისი თაოსნობით 1905 წ. აპრილში მოწვეულ იქნა ყველა სოციალისტური პარტიების კონფერენცია, რომელზედაც მხოლოდ ნაროდნიკული მიმდინარეობანი დარჩნენ. ჩქარა ესერებმაც ზურგი შეაქციეს გაპონს, რომელმაც სულ მოკლე ხანში გამოაამჟღავნა ტიპიური ავანტიურისტისა და რევოლიუციასთან მიტმასნებული ადამიანის თვისებები. გაპონი გადავიდა მთავრობის მხარეზე, დაბრუნდა რუსეთში და შეეცადა განეახლებია თავისი ორგანიზაციები. ამავე დროს ის შევიდა „ოხრანკის" სამსახურში და მიზნად დაისახა ესერების ტერორისტული ორგანიზაციის ჩაგდება ჟანდარმების ხელში, 1906 წ. 6 თებერვალს გაპონი მივიდა ესერ რუტენბერგთან, რომელმაც იგი სიკვდილს და დაპატიმრებას გადაარჩინა სისხლიან კვირას და თუ უკანასკნელს „დაუჯერებთ" ტლანქი ცინიკურ ფორმებში წინადადება მისცა მას კავშირი დაეჭირა რაჩკოვსკისთან. *) რომელიც 100.000 მანეთს იძლეოდა ესერთა მებრძოლი ორგანიზაციის გაცემისათვის". **) რუტენბერგმა განიზრახა ამ ამბვის გადაცემა ესერების ც. კ., მაგრამ, ვინაიდან ცეკას წევრებიდან ვერავინ ნახა, ეს ამბავი უამბო „მებრძოლი ორგანიზაციის" ხელმძღვანელს— **აზეფს, *****) რომელმაც განაცხადა, რომ „გაპონს ბოლო უნდა მოეღოს" და შეიმუშავა მისი მოკვლის გეგმა:

გაპონთან ერთად უნდა მოეკლათ რაჩკოვსკიც, მაგრამ ფრთხილი რაჩკოვსკი არ წამოეგო პროვოკატორების ანკესზე და არ წავიდა რესტორანში, სადაც გაპონს უნდა მიეყვანა რუტენბერგი, რომელიც გაპონის პროვოკატორობის გამომჟღავნების მიზნით თითქო დასთანხმდა „მებრძოლი ორგანიზაციის" გაცემაზე. მაშინ რუტუნბერგმა შეიმუშავა საკუთარი გეგმა გაპონის მოსაკლავად. დაიქირავა აგარაკი ოზიორაში, სადაც მიიწვია გაპონი ვითომდა „მებრძოლი ორგანიზაციის" გაცემის შესახებ მოსალაპარაკებლად.

იმ ოთახის გვერდით, სადაც მოლაპარაკება უნდა გამართულიყო, რუტენბერგმა დამალა მუშების მთელი **ჯგუფი.**

ქვემოთ მოგვყავს (შემოკლებით) რუტენბერგის ნაამბობი ამ ტერორისტული აქტის შესახებ:

„მე დავდიოდი ოთახში, ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი, გაპონი კი ლაპარაკობდა, და ჩემთვის მოულოდნელად ალაპარაკდა ისე ცინიკურად, როგორც არასოდეს არ მსმენია მისგან.

— საქმე უნდა გავათავოთ. რას ჰოჭმანობ? 25.000 მანეთი კარგი ფულია.

— შენ მოსკოვში მითხარი, რომ რაჩკოვსკი 100.000 მანეთს იძლევა:

— მე ეს შენთვის არ მითქვამს. ეს გაუგებრობაა. ისინი კარგ ფულებს იძლევიან. შენ ტყუილად ჰოჭმანობ. და ეს მხოლოდ ერთი საქმისთვის, ერთისთვის, მაგრამ თავისუფლად შეგიძლია 100.000 მან. გაკეთებაც ოთხი საქმისთვის.

მე შიში გამოვსთქვი, რომ რაჩკოვსკი მომატყუებს. მე მას ყველაფერს ვეტყვი, ის კი ფულს არ მომცემს. გაპონი მარწმუნებდა, რომ ეს არ მოხდება.

— რას იზამდი, რომ მუშებს, თუ გინდ შენებს, გაეგოთ შენი კავშირის შესახებ რაჩკოვსკისთან?

— ისინი ვერაფერსაც ვერ გაიგებენ. და რომც გაეგოთ, ვეტყოდი, რომ მათ სასარგებლოდ ვაკეთებდი საქმეს.

— რომ გაიგონ ყველაფერი, რაც მე შენს შესახებ ვიცი, რომ შენ მე დამასახელე რაჩკოვსკისთან, როგორც მებრძოლი ორგანიზაციის წევრი, რომ შენ, სხვა სიტყვებით, რომ ვსთქვათ, გამეცი მე; რომ შენ იკისრე ჩემი დათანხმება პროვოკატორობაზე, რომ შენ იკისრე ჩემი საშუალებით გაიგო და გასცე მებრძოლი ორგანიზაცია, მონანიების წერილი მისწერე დურნოვოს?

— არავინ არაფერი იცის ამის შესახებ და ვერც გაიგებს.

— მაგრამ, რომ მე გამოვაქვეყნო ყველაფერი ეს?

— შენ, რასაკვირველია ამას არ იზამ. ამაზე ლაპარაკიც არ ღირს (ცოტა ფიქრის შემდეგ). და რომც აგრე მოიქცე, მე გაზეთებში მოვათავსებდი ცნობას, რომ შენ შეშლილი ხარ და მე არაფერი ვიცი. არც საბუთები და არც მოწმეები შენ არ გყავს და მე, რასაკვირველია, დამიჯერებდნენ.

აქ მოხდა შემდეგი ამბავი. გაპონმა მკითხა, თუ სად არის საპირფარეშო. მე ჩავყევი ქვედა სართულში, უჩვენე და ვაპირებდი უკან დაბრუნებას.

საპირფარეშოს კარი იყო შავი კიბის კარების გვერდით. ამხანაგი, რომელიც „მსახურის" როლს ასრულებდა იმყოფებოდა არა სხვებთან ერთად, პატარა ოთახში, არამედ გვერდით, კარებს უკან. როცა მას მოესმა, რომ ჩვენ დაბლა ჩამოვდივართ, მასაც მოეპრიანა დაბლა ჩამოსვლა თავისი კიბით. როცა გაპონი მიუახლოვდა საპირფარეშოს, ისინი აქ პირისპირ შეეჩეხენ ერთმანეთს. „მსახური" გაიცდა და გაეშურა უკან კიბისკენ. გაპონი, თავის მხრივ, გამოექანა ჩემსკენ, შუშაბანდიან აივნისკენ.

— რა საშინელებაა. ჩვენ დაგვაყურეს.

— ვინ?

ის შეუდგა კაცის ტანსაცმელისა და გარეგნობის აღწერას.

— შენ რევოლვერი გაქვს?— უცებ მკითხა მან.

— არა! შენ გაქვს?

— არც მე მაქვს. ყოველთვის თან დამაქვს, დღეს კი, თითქო განზრახ, არ წამოვიღე. წავიდეთ, დავათვალიეროთ.

ჩვენ გავიარეთ აგარაკის ქვედა ნაწილი და ავედით ზევით. გაპონი მიდიოდა წინ. მან დაინახა შავ კიბეზე გასასვლელი ღია კარი, შევიდა შიგ და ნახა ის, ვისაც ეძებდა.

მან უკან დაიხია, როგორც გველნაკბენმა. ჩუმათ, გაქვავებული თვალებით, მზიძგავდა მისკენ. შემდეგ ჩურჩულით მითხრა:

— ის იქ არის.

მე შევედი. მოვკიდე ხელი „მსახურს" და გამოვიყვანე. სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ გაპონი ერთი ნახტომით ეცა მას, თვალის დახამხამებაში გასინჯა და წაავლო ხელი ხელზე და ჯიბეზე, სადაც მას რევოლვერი ჰქონდა და მიაჭეჭყა კედელზე.

— მას რევოლვერი აქვს. იგი უნდა მოვკლათ.

მე მიუახლოვდი, ხელი ჩაუყავი „მსახურს" ჯიბეში, ამოვიღე რევოლვერი და ჩუმათ ჩავიდევი ჯიბეში.

გავაღე კარები და დაუძახე მუშებს.

— აი, ჩემი მოწმეები,—უთხარი გაპონს.

იმან, რაც მუშებმა გაიგონეს კარებს უკან დგომის დროს, მათ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისინი დიდხანს ელოდებოდნენ, რომ გამომეშვა. და ახლა კი არ გამოვიდნენ, არამედ გამოვარდნენ, ხტომით მიცვივდნენ მას და კვნესით —„ა-ა-ა-ა!"— წაავლეს ხელი. გაპონმა პირველ წუთებში თითქო მოინდომა დაეყვირა— „მარტინ!", მაგრამ დაინახა მუშის ნაცნობი სახე და მიხვდა ყველაფერს.

მათ ის წაათრიეს პატარა ოთახში. იგი კი ემუდარებოდა:

— ამხანაგებო, ძვირფასო ამხანაგებო, ნუ იზამთ.

— ჩვენ შენი ამხანაგები არა ვართ, გაჩუმდი.

მუშებმა ის შეკრეს. ის გააფთრებით იბრძოდა.

— ამხანაგებო, რაც თქვენ გაიგონეთ— არ არის მართალი,—ლაპარაკობდა ის, ცდილობდა ეყვირა.

— ვიცით! ხმა ჩაიკმინდე.

— მე ყველაფერი მოვიმოქმედე იდეისათვის, რომელიც მე მქონდა.

— ვიცით შენი იდეები!

ყველაფერი ნათელი იყო. გაპონი— გამცემია, პროვოკატორი. გაფლანგა მუშების ფულები. მან შებილწა 9 იანვარს დაღუპულ ამხანაგების სახელი და ღირსება. გაპონი უნდა დაისაჯოს სიკვდილით...

გაპონს მისცეს უკანასკნელი სიტყვა.

მან ითხოვა პატიება წარსულის გულისათვის.

— შენ არა გაქვს წარსული. შენ იგი ფეხებში ჩაუგდე ბინძურ შპიკებს,— უპასუხა ერთმა დამსწრეთაგანმა.

...საღამოს 7 საათზე ყველაფერი გათავებული იყო.

ეს იყო 1906 წ., 28 მარტს. გაპონის გვამი ნახეს მხოლოდ 30 აპრილს.

**ნ. რ—ძე.**

---

*) რაჩკოვსკი—პოლიციის დეპარტამენტის უფროსი.

**) იხ. ჟ. ლონგე და გ. ზილბერი—„ტერორისტები და ოხრანკა".

***) რომელიც პროვოკატორი აღმოჩნდა.



საქარ. ა. ლ. კ. კ. თბილისის საოლქო კომიტეტი ავრცელებს ლიტერატურას წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად.



26 კომუნარის სახელობის ქარხნის სამონტაჟო ბრიგადა: ამხ. ბონდარენკო, ბოტოვი, დულონთარაძე, რომელთაც აქვთ დიდი მიღწევები ნაწარმოებთა ღირსების გასაუმჯობესებლად.



თბილისის ქარხნებში აკეთებენ ორთქლმავალის ქვაბებს. სურათზე ორთქლმავალის ახალ ქვაბს აკეთებენ.

# ქარაოცი

## კომედია მოთხრობად

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქარაოცის თვისებანი, წინასიტყვაობის მაგიერ.

სიტყვა „ქარაოცი“ გურიაში იხმარება და ნიშნავს: არც ჭკვიანს და არც სულელს, რაღაც საშუალოს, რომელიც მუდამ გახარებულია, ყველაფერს იოლის თვალით უცქერის და სჯერა თავის მოქმედების.

ქარაოცს ჭკუა აქვს, მაგრამ საქმის დასაბოლოავებლად არ ჰყოფნის, აზრს მოგისმენს და თავისად გაასაღებს. მოსმენილ აზრით განიმსჭვალება, მაგრამ მალე დაივიწყებს; მიზანს დაისახავს, უნდა კარგი საქმე გააკეთოს, მაგრამ „დათვური სამსახური“ გამოსდის.

მტერი არ ჰყავს, რადგან წყენას მალე ივიწყებს.

ქარაოცი დღემდე ყველა ქართველში იჯდა, ვხედავდით, მაგრამ აზრის გამოსათქმელი ტერმინი ვერ მოგვენახა, სანამ ჭკუამახვილმა გურულმა არ დაიძახა:

— ე, ქარაოცი!

არც მწერლები იძლეოდნენ ქარაოცის სახეს, რადგან თვით მწერლები იყვნენ და არიან დიდი ქარაოცები და რომ ეს ტიპი დაეხატათ, საკუთარ თავს გაამათრახებდნენ, ეს კი სწორედ ქარაოცს ჭირივით ეჯავრება!

როცა გურული სიტყვა „ქარაოცი“ გავიგე, წარმომიდგა ახირებული მეოცნებე, მაგრამ შევცდი, რადგან უდიდესი მეოცნებე ყოველგვარ რეალობას მოკლებულია, ქარაოცი კი-არა! იმას ფესვები ცხოვრებაში აქვს, მაგრამ სიდინჯე, ანალიზი, მოთმინება, ფაქტების აწონა აკლია, არის ატაცებული, მაგრამ არასოდეს გიჟი!

ლინგვისტი არა ვარ, მაგრამ სიტყვა ქარაოცი ქარიდან და ოცნებიდან უნდა იყოს წარმოებული.

იგი დაუდგრომელი და მოუსვენარი ადამიანია. ფანტაზიორი და მოფუქსავატე; მკვეხარა და ტყუილის მთქმელი! მახვილი აზრის მაჩანჩალა, და პირველობის პრეტენზიის მქონე. ყველაფრის მცოდნე, მაგრამ ხეირიანად—არაფრის. იმედის კოშკების ამგები, როცა საამისო საფუძველი არ გააჩნია. ნატრობს იმას, რაც მისთვის მუდამ მიუწვდომელია, თუმცა შეიძლება იგივე სხვისთვის სულ ადვილი მისაწვდომიც იყოს.

ქარაოცს ემართება ქართლელ გლეხის ამბავი, რომელმაც გზაზე ქილა ძაწვნით იპოვა, ქალაქში წაიღო, გაჰყიდა, ღორი იყიდა, ღორმა გოჭები დაუყარა, გოჭები დაყიდა და უღელი ხარი შეიძინა, ურემი შეაბა და შეშაც დაუდო, საქონელს სახრე მოუქნია და მაწვნის ქილა კი გასტეხა.

ქარაოცი არსებობს ყოველთვის და ყოველ დროში ქარაოცობის ზოგი დიდის და ზოგიც ნაკლების დოზით.

ქარაოცები დაუმთავრებელ ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებენ. საკუთარი არაფერი აქვთ და ნასესხებიც სანახევროდ დამახინჯებულად შეუთვისებიათ —არაბუნებრივი და ხელოვნური შეთვისება: გინდ იყოს მეცნიერება, გინდ ხელოვნება კურიოზულ მდგომარეობაში აგდებს. —რაღაცას მოჰკრა ყური, მისთვის გაუგონარს, მაგრამ საუკუნოვბში გადალეჭილს; წყალს ნაყავს და გიმტკიცებს, რომ ახალია!

თავი გენიოსად წარმოუდგენია, რომ ეპოქას მისი არ ესმის და მას უსამართლოდ სდევნიან.

ქარაოც! ქარაოც!

რამდენია და რამდენს ვხედავ: ყველგან, ყოველ კუთხეში! ქალაქად, სოფლად! როგორც ბავშვი, მტვერში ხის და ნაფოტის ხუხულებს აშენებს და თვითვე დარწმუნებულია, რომ ეს ხუხულები უზარმაზარი ციხეკოშკებია!

ქარაოცის თვისებანი მე რომ მოთხრობაში სავსებით და უკლებლად გადამეშალნა, ის დღე დამადგებოდა, რაც დაადგათ ბევრს პ ი რ შ ი მ თ ქ მ ე ლ ს და რადგან მე სხვების მაგალითებით ცოტაოდენი გამოცდილება შევიძინე, ამიტომ სიფრთხილეს თავი არა სტკივა. მე არც „აუტო და ფე“ მინდა და არც „ექსორია!“

დავხატე ქარაოცის ერთი ეგზემპლიარი, რომელიც შემებრალა და სავსებით აღარ გავაშიშვლე პირიქით, მას საკუთარი გული და ბუნება მივეცი, რომ მით შემერბილებინა და არ გამხდარიყო ჩემი ეპოქის შავ ლაქად. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვერ გადაურჩებოდი მილიონ ქარაოცებს.

მე თვითონ ვარ ენტუზიასტი და ასეთივე გრძნობით დავაჯილდოვე ჩემი ქარაოცი, რადგან მ ს უ რ ს ა ს ე თ ი ი ყ ო ს!

მე ჩემი ვსთქვი და ქაღალდზე გადასული უკვე მე აღარ მეკუთვნის. ეს უკვე მოწყვეტილი ფურცლებია, რომლებიც ქარს მიაქვს, ვინ იცის საით!

P. S. ეს მოთხრობა, უკვე კომედიად დაწერილი, ეძღვნება სიცილის შემომქმედს ნ ი კ ო გ ო ც ი რ ი ძ ე ს.

### დაუვიწყარი დაბა ზერეთი, სადაც დაიბადა ერთი მრავალთაგანი ქარაოცი ლონგინოზ ტურაბელი.

ერთს მიყრუებულ კუთხეში, სახელდობრ დაბა ზერეთში, სცხოვრობდა ჩემი გმირი: ქარაოც ლონგინოზ ტურაბელი.

ზერეთი ერთი უშნო, მიგდებული დაბა იყო, მიცრეხილ-მოცრეხილი ქუჩები, ქუჩებზე ქვაფენილი არა დროს არ ყოფილა, ეყარა ლოდები ტალიხის დროს გადასასვლელ-გადმოსასვლელად. ზოგიერთ ალაგას გზა ჩაღრმავებული, რომ ზაფხულის სიცხეებშიაც გუბე სამს თვეს ვერ შრებოდა. ქუჩებში ძაღლის, კატის და შინაურ ფრინველის მძორს ეხვეოდნენ ბუზები და სანამ მატლები არ გამოხრავდნენ, იდგა საშინელი სუნი. სჩანდა ორიოდე სახლი ორ სართულიანი, დანარჩენი კი, ზოგი კედელ ჩამონგრეული და ბოძებ შედგმული იყო და ზოგიც დაცარიელებული, წასაქცევად მომზადებული.

პატრონს დროზე თავი მიუნებებია და სადღაც გადასახლებულა, თორემ სახლი როდისმე ქვეშ მოიტანდა.

რატომ იწოდებოდა ზერეთი დაბად—დღესაც არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ ორასი კილომეტრის მანძილზე სხვი ქალაქი არ იყო და ზერეთს კი გარშემო მრავალი სოფლები ერტყა. —კვირა დღეობით დიდი ბაზარი იმართებოდა, და დაბა ზერეთი ამ დღეს თუ ახმაურდებოდა. თორემ სხვა დროს სასაფლაოს უფრო ჰგავდა, ვიდრე დაბას.

აქ იყვნენ ძველი დარჩენილი ვაჭრები, რომლებსაც დუქნები კი ღია ჰქონდათ, მაგრამ შიგ აღარაფერი მოეპოვებოდათ. ესენი უფრო სოფლის მეურნეობას მისდევდნენ. განსაკუთრებით კარგად შეძლებული და ბოლო დროს კულაკად წოდებული ფიდო დათუკიძე, რომელსაც შემდეგ ახლო ხელის ჩამორთმევით გავიცნობთ.

ლონგინოზ ტურაბელის მამა—თანდილა— განთქმული დერციკი იყო და ახლო-მახლო სოფლებში „ნეფის“ ტანისამოსს უთუოდ მას შეაკერინებდნენ.

კარგი ხელი ჰქონდა და მუშტარიც მისდევდა, რის გამო შეძლებაც მოსდგამდა.

### მირქმა ლონგინოზისა.

ლონგინოზი პირმშო შვილი იყო და მის მშობლებს სხვა აღარც ჰყოლიათ. მამამ მისი სახელის გამოძებნაზე ყველა ნაცნობი და უცნობი შესძრა და ბოლოს შემთხვევით ყური მოეკრა: მგზავრი მგზავრს ეძახოდა: ლონგინოზ! ლონგინოზ! თანდილამ დაიხსომა ეს სახელი—ძალიან მოეწონა. გულში ამბობდა: „ლომ-გული, ლომ-გონი! ძალიან კარგია! ჩემი შვილი ლომიც უნდა იყოს, გულიც ჰქონოეს და გონიც!“.

თანდილას ცოლი—მათიკო—ბევრს უხირდებოდა, ლონგინოზი რა სახელიაო, მაგრამ ოჯახის უფროსმა გაიმარჯვა და შვილს დაარქვეს ლონგინოზი.

### ლონგინოზის მოწაფეობა და ქარაოცობის პირველი ჩანასახი.

ლონგინოზი ათის წლისა რომ შესრულდა, მამას ჰსურდა შვილისათვის თავისი ხელობა ესწავლებინა, მაგრამ დედამ თავი მოიკლა: შენ გინდა შვილმაც შენსავით „ფლასები“ ჰკეროს? ისე არ მოესწროს შენი მტერი და დუშმანი! ჩემი შვილი სასულიერო პირი უნდა გამოვიდეს, ან ღვდელი, ან დეკანოზიო!“

მათიკომ გაიმარჯვა. ჩვენი ლონგინოზი სოფლის სკოლიდან—უკვე ამ დროს ბავში თორმეტის წლისა სრულდებოდა,— გამოიყვანეს და ქალაქში ჩამოიყვანეს. თანდილამ ბევრი ქრთამი დახარჯა, რომ მისი შვილი სასულიერო სასწავლებელში მიეღოთ, მაგრამ პირველ წელიწადს ვერაფერს გახდნენ, რადგან „წოდება“ ხელს უშლიდათ.

შვილი ქალაქში დასტოვეს და კერძოდ მასწავლებელს ამზადებინებდნენ. თანდილამ ისევ ქრთამს დასაქმა და ერთს რომელღაც ზედამხედველს, თუ მეთვალყურეს კონვერტით ასიგნაციები მიართვა—შიგ რამდენი იყო—თანდილა შემდეგშიაც არ ამბობდა, მხოლოდ ამოიოხრებდა და იტყოდა: წავიდა წემი ახალგაზრდობით შეგროვილიო! ცოლი ანუგეშებდა:

— „მაინც ხომ მივაღებინეთ და გარიყული არ დავრჩითო“!

ლონგინოზი კარგად სწავლობდა, მაგრამ ძალიან ცელქი ბავში იყო. ყოველ დღე დასჯილი ან კუთხეში იდგა, ან გაკვეთილების შემდეგ „კარცერში“.

მაგრამ სიცელქეს უთმენდნენ, რადგან კარგად სწავლობდა—წლის ბოლოს თავს მოიჭკვიანებდა და ეგონათ გამოსწორდაო, შემდეგ კლასში გადაიყვანდნენ.

მოწაფეებს ერთი მასწავლებელი ძალიან ჰყავდათ აგდებული, რომელსაც ზედმეტ სახელად „მოკლე პიპინს“ ეძახოდნენ.

ლონგინოზი სულ უკანა პარტაზე იჯდა და როდესაც მასწავლებელი ზურგ შებრუნებული იდგა, კომიკურ გრიმასებს აკეთებდა, რის გამო დანარჩენი მოწაფეები სიცილით იხოცებოდნენ.

ერთხელ მასწავლებელს მელნის შუშაზე კალამი შავი ძაფით მოუბა. მასწავლებელი ბეცი იყო, კალამი რომ გამოჰკრა, მელანი დავთარს გადმოასხა.

ამავე მასწავლებელს უკან კალთაზე ქაღალდის კუდი დაჰკიდა, დადიოდა, დააფრიალებდა, მოწაფეები იცინოდნენ—მასწავლებელი კი ბრაზდებოდა.

ერთხელ სადღაც ჩიტი დაეჭირა და შუა გაკვეთილზე გაუშვა—ეს მოწაფეებისათვის ისე მოულოდნელი იყო, რომ ასტეხეს ყიჟინა და ჩიტს გამოეკიდნენ.

ამისთანა სიცელქე მრავალი ჩაუდენია, ბევრჯელ დათხოვნაც დაუპირეს, მაგრამ ისევ მამას უშველნია.

როგორც იყო, სემინარიის მეორე კლასამდე მიაღწია—აქ კი მოჰდა მოწაფეების არეულობა, უფროსი მოწაფეები დაითხოვეს, ერთის თვის შემდეგ ლონგინოზმა და მისმა ორმა ამხანაგმა ვითომც შური იძიეს. ღამე რექტორს—ბერი იყო—სამმა მოწაფემ კიბეზე ამოსვლისას სათითაოდ თავში ჩაარტყეს, ლონგინოზი გადარჩებოდა, მაგრამ კიბეზე რომ არბოდა, ქუდი დავარდა და ამ ქუდმა გასცა.

იმ საღამოსვე ლონგინოზს მისცეს „ვოლჩი ბილეთი“ და სემინარიიდან პანჩურით გამოისტუმრეს.

ლონგინოზი, შეკრული ბოხჩით, მშობლებს მიადგა. დედამ ბევრი იდარდა, რომ შვილი დეკანოზი არ გამოუვიდა! მამას კი შუბლიც არ შეუკრავს:

— ძალიან კარგი ქნეს, რომ გამოაგდეს—რა მაგის საქმეა ღვდლობა—აქ ტაბულები უნდა ეხიცნა? დაჯექ შვილო, ჩემს სახელოსნოში და ტანისამოსი კერე!

**ლონგინოზის ქარაოცობის პირველი ნაბიჯი და მისი „სამეცნიერო“ გამოკვლევები.**

ამის შემდეგ ლონგინოზი ერთს საქმეს ვეღარ დაადგა. ხან დერციკობდა, ხან სოფელში მასწავლებლობდა, ხან მეურრეობას მისდევდა! მაგრამ ლონგინოზი არაფრით კმაყოფილდებოდა. სულ რაღაცას ფიქრობდა და ძიებაში იყო!

მის მამას ერთი ფაშატი ცხენი ჰყავდა. ვიღაცა მწყემსმა უთხრა, კვიცი რომ მოგების დროს დედამიწას არ დააკაროთ, მფრინავი მერანი გამოვაო;

ლონგინოზმა რამოდენიმე თვეს ფაშატ ცხენს უკან სდია, რომ კვიცი ხალიჩაზე მოეგებინებინა.

ერთ დღეს სახლში შემოვარდა, ყვითელი ხალიჩა გაიტაცა, თურმე ცხენი კვიცს იგებდა მეზობლებიც შეჰყარა, რომ ხალიჩა დაეჭირათ

კვიცი კი ცხენმა ხალიჩაზე მოიგო, მაგრამ როცა ცხენი მობრუნდა და თავის ირგვლივ ასეთი უჩვეულო რამ დაინახა, გამხტცდა, აყარა და აყარა წიხლები. კვიციც მოკლა და ერთს მეზობელს ფეხიც მოსტეხა.

ლონგინოზისთვის რომ გეკითხათ, რად ჰქენ ასეთი საქმეო, გიპასუხებდათ:

— ბუნებაში ბევრი რამ არაჩვეულებრივი ამბავი ხდება! ვინ იცის, იქნებ ის კვიცი მართლა მერანი გამოსულიყო, ფრთებიანი, ოქროს ფაფარიანი—მე შევჯდებოდი და ქვეყანას შემოვივლიდი!

და რომ კიდევ გეკითხათ:

—ქვეყანას რისთვის შემოივლიდიო—მთელს დღეს ილაპარაკებდა და დაგიხატავდა, სად რას ნახავდა, სად ვის ინახულებდა. ამერიკაში წავიდოდა და იქ მილიარდერი გახდებოდა, მერე ამ მილიარდებით საქართველოს მიწა-წყალს იყიდდა, რესპუბლიკად გამოაცხადებდა და თვითონ მას მადლიერი ხალხი პრეზიდენტად აირჩევდა.

**ქარაოცის ოცნება და სინამდვილე.**

**ერთხელ მამა რაღაცაზე გაუწყრა—ვგონებ მიზეზი ის იყო, რომ ღამე წიგნის კითხვა უყვარდა;** წიგნს რომ გაათავებდა, თვითონ მიეცემოდა ოცნებას. წარმოიდგენდა, რომ დაარსა საიდუმლო წრე, რომელიც მიზნად ისახავდა მონარქიულ წესწყობილების დანგრევას. ამ წრეს ერქვა „შეთქმულება“. ვითომც ეს წრე ისე გაიზარდა, რომ მისგან მთელი არმია შეადგინა და მათი მთავარსარდალი თვითონ ლონგინოზი იყო. ბრძოლაც გაიმართა და მოწინაალმდეგე დაამარცხა ახალ სახელმწიფოსთვის მთავრობას ადგენდა...

ერთხელ ასეთს ოცნებაში წასულიყო და ლამფას მთელს ღამეს ებოლნა. ყველაფერი შემჭვარტლულიყო, განსაკუთრებით მამისგან შეკერილი რამდენიმე ატლასის ახალუხი, რომელიც პატრონებს იმ დილით უნდა წაეღოთ და „ხეფე“ დაენიშნათ.

ახალუხები კი გასარეცხები გახდა და „ნეფეები“ იძულებულნი იყვნენ ლონგინოზის ოცხების გამო პატარძალთან ლაღობა ერთი დღით გადაედოთ.

ამაზე გაუწყრა მამა. ლონგინოზმა დაჰკრა ფეხი და მთაზე თავის მწყემს ბიძასთან ამოჰყო თავი.

ეს დრო იყო ბატკნობის თვე.

ამ დროს მის ბიძას ბლომად ცხვარი ჰყავდა და დოლიც კარკი დაუდგა. ათასი ცხვარი მოწველე იყო.

ბიძას გაუხარდა, რომ გაცხარებულ მუშაობის დროს მუშა ხელი მიემატათ.

თვითონ მარილის სასყიდლად ბარად წავიდა და მწყემსებს ამბავი დაუტოვა, რომ ბატკნებს ლონგინოზი დაუდარაჯებსო.

ბიძას სამი დღე დაუგვიანდა, რადგან სხვა საქმეებიც გამოუჩნდა.

ლონგინოზმა შენიშნა, რომ ათასი დედა. ცხვარი როცა ბინაზე მოდიოდა, ყველა ბატკნებს ერთბაშათ უშვებდნენ და, წარმოიდგინეთ, საკვირველება! თვითეული ბატკანი თავის დედას სცნობდა და დედა თავის ბატკანს. და თუ შემთხვევით სხვა ბატკანი მივიდოდა, დედა დასუნავდა და რქებით შორს გადააგდებდა.

ლონგინოზი ძალიან გაკვირდა და გულში ფიქრობდა: ცხვარს საიდან აქვს ისეთი გონება, ან ყნოსვა, რომ თავის ბატკანს სცნობსო და განიზრახა: მეორე დღეს გამოკვლევა მოეხდინა.

ხუთას-ხუთასი ცხვარი ბაკებში შეყარა და შიგ სუთას-ხუთასი ბატკანი შეუშვა.

ბატკნები იმ ცხვრებისა იქნებოდა, თუ სხვებისა, ეგ სულ ერთი იყო. უნდა გამოერკვია, დედა-ცხვრები როდემდის არ მოაწოვებდნენ უცხო ცხვრების ბატკნებს.

მოჯამაგირე მწყემსები ეწინააღმდეგებოდნენ მაგრამ ლონგინოზი უმტკიცებდათ, რომ ასეთი დიდი საკითხის გამორკვევა მეცხვირეებისათვის მჭირდებაო! ლონგინოზი რომელი მეცნიერი იყო? ან ესეთი გამოკვლევა ვინ მიახდო, ამის პასუხი თვითონ მას მივანდოთ.

მეორე დღეს ცხვრების ბინაზე იყო საზარელი ბღავილი. უცხო ცხვრებია ბატკნებს დედები რქებით იგერიებდნენ და ახლოს არ უშვებდნენ.

ლონგინოზი ბრაზობდა და ძალით ბატკანს აწოვებინებდა, მაგრამ რომელ ერთს გასწვდებოდა? საღამომდე ცხვარიც დამწყვდეული ჰყავდა და ბატკანიც.

ბატკნები დამშივდნენ და, ბოლოს, რომ ჩარა გასწყდა, ბაკის ორივე კარი მწყემსებს გააღებინა, დედა-ცხვრები გარბოდნენ, სადაც თავის ბატკნის ბღავილი ესმოდა. მრავალი გაისრისა, დაიხოცა და მრავალიც მომშიებული გაიჩიჩრალა. მეტისმეტად გაძლა და გაფალარათდა.

**ბიძამ მარილი მოიტანა, იაგრამ თავის სამწყემსოს რომ თვალი გადაავლო, ჩელდა ჟღა—**სასტიკი კაცი იყო და ძალიან გაბრაზდა; ლონგინოზი რომ იქ დახვედროდა, თოკით მიაბამდა და ისე სცემდა, მაგრამ ლონგინოზმა ... იგრძნო და გამოასწრო.

**ლონგინოზი თაფლის მრეწველი.**

ამ ევე დამართა დადან-ბლატის სკეპზე მოწყობილს საფუტკრეს, მაგრამ ეს მაშინ, როცა ლონგინოზს მშობლები აღარ ჰყავდა, ოჯახის ბატონ-პატრონი თვითონ იყო. უკვე ექვსი წლის ნაქორწილევი იყო და ორი შვილიც ჰყავდა: ქალ-ვაჟი.

რომ ლიღაც სამეურნეო გაზეთში ამოეკითხა, რომ, როცა სკაში ფუტკარი ჟოლს (ახალგაზრდა ბარტყს მოამრავლებს, შეიძლება მისი ხელოვნურად გაყოფაო, მხოლოდ ფუტკარის დედები უნდა დაიჭიროო, ძველი ახალ სკაში გადააიყვანო და ახალი ძველში დასტოვოო. ხოლო თუ ზედმეტი დედა ჰყავთ, უნდა მოიკლასო.

ლონგინოზმა აღარ მოისვენა. უთუოდ ეს ცდა უნდა მოეხდინა. ადრე-გაზაფხული იყო და ჯერ კიდევ ციოდა. ყოველ დღე ახდიდა სკას. ახალგაზრდას და ბებერ დედას ეძებდა, ბევრჯერ დაკბინეს და პირი-სახე დაუსიეს, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა. ნახევარზე მეტი გადაჰყო კიდეც, მაგრამ შუა გაზაფხულზე ყველა სკა ჩაქრა, გაიჟლიტა. ზოგი დამძრალიყო და ზოგიც უდედოდ დარჩენოდა. დასუსტებულ სკებსაც გაუჩნდა ჩრიჩილი და მთლად მოისპო. ლონგინონოზი კი სხვას მოელოდა და თაფლის მრეწველობას აპირებდა.

**ლონგინოზის „დარვინიზმი“**

ერთხელ ლონგინოზს დარვინის პოპულიარული ბროშურა ხელში ჩაუვარდა და ერთს ზამთრის ღამეს გადაიკითხა.

— ადამიანი მაიმუნიდან წარმოშობილა! ყვიროდა გათენებისას. უკან თავის ტანზე ხელს იდებდა და კუდის ნატამალს ეძებდა.

მეორე დღეს ყველა ამვლელ-ჩამომვლელს, ქალს თუ კაცს, ზურგის უკანა ნაწილს დიდის ყაკვირვებით აცქერდებოდა, იქნება ვისმე კიდევ შერჩენია კუდიო. მაგრამ ვის რას შეამჩნევდა? თბილისში საგანგებოთ ჩამოვიდა და აბანოში გაექანა, იქნებ იქ მაინც შიშველ ხალხში კუდიანი ვნახოო. ყველას თავით-ფეხებამდე ახირებულად ათვალიერებდა, სინჯავდა და ამის გამო საპონწასმული ლონგინოზი მექისეებმა მაგრა მიზილეს და გარედ გამოაგდეს.

— გაფუჭებულები, სულელები! მაგათ არ ესმით მეცნიერული ანალიზი და სხვანაირად მიიღეს!

ბოლოს დაასკვნა, რომ ქვეყნად კუდიანი მხოლოდ ფიდო დათუკიძე-ღა არის და მას ჩხუბის და შელაპარაკების დროს „დარვინის კუდიანს“ ეძახოდა!

**აქა ამბავი, თუ როგორ შერთეს ცოლი.**

ერთხელ მეზობელ სოფელში დაპატიჟეს ლონგინოზი სტუმრად უფრო იმ განზრახვით წავიდა, რომ იქ ჩემს იდეებს გავავრცელებო.

სადილობის დროს გვერდზე ლამაზი გოგონა მოუსვეს. ფიდო დათუკიძემ—თამადამ—ლონგინოზს ღვინო დააძალა და გამოათრო, ასე რომ იმ ღამეს მასპინძლიანთას დარჩა.

თამადას ეშმაკობა ჰქონდა განზრახული.

**ს. შანშიაშვილი**

**(გაგრძელება იქნება)**

# 1932 წლის გაზაფხულისთვის უნდა დამთავრდეს მთელი საქართველოს კოლექტივიზაცია



საგაზაფხულო თესვის კამპანიამ თესვის რაოდენობა უნდა ასწიოს 11 პროცენტით. ამის გამო საბჭოთა კავშირში სახნავი ფართობი უნდა გადიდდეს 9 300 ათასი ჰექტარით: საბჭოთა უკრაინაში 1 800 ათასით და ამიერ-კავკასიაში 200 ათასით. დანარჩენ რესპუბლიკებში 400 ათასი ჰექტარით.



მთავრობის მიერ შემუშავებული ერთი წლის გეგმის მიხედვით 1930 წლისთვის სასოფლო მეურნეობას მიეცემა 43-47 ათასი ცალი ტრაქტორი ღირებული 200 მილიონ მანეთად.



1930 წლისთვის არსდება 104 სახელმწიფო მანქანათმშენებელი სადგური.



წითელარმიელების ბრიგადა აბაშის გლეხებთან საუბრობს

ამჟამად თესვის კამპანიას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალისტურ აღმშენებლობისთვის. ყველ კომუნისტს და პარტორგანიზაციას მოკლე ხანში ანგარიში მოსთხოვენ და შეამოწმებენ უპირველესად იმაში, თუ რამდენად შესძლეს განეხორციელებინათ კონკრეტული გეგმა ყოველ სოფელში და ყოველ კოლმეურნეობაში და რამდენად სისრულეში მოიყვანეს საბჭოთა სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. 23 დეკემბერს დადგენილი დავალებანი.

სოფლის და კოლმეურნეობის ორგანიზაციების დასახმარებლად სოფელში უნდა მივლინებულ იქნენ მთავარი ძალა სამაზრო და საოლქო მუშაკების. აქტიურ მონაწილეობის მისაღებად თესვის კამპანიის ჩასატარებელ მუშაობაში უნდა ჩაბმულ იქნეს მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა და უპირველესად: პროფკავშირები, კომკავშირელთა ორგანიზაციები, მუშათა ბრიგადები, საშეფო საზოგადოებები და დელეგატ ქალების წრეები. ყოველმა ქარხანამ მონაწილეობა უნდა მიიღოს და გაგზავნოს მუშათა ბრიგადები უპირველეს ყოვლისა თესვის კამპანიის ჩასატარებლად და კოლმეურნეობის ასაღორძინებლად.

ყოველი ფორმა საზოგადო მოითმოქმედებისა და სოციალისტური შეჯიბრისა უნდა გარდიქმნეს მთავარ ძირძად სოციალისტურ მეურნეობის ასაწევად, რომ უზრუნველჰყოს დასათესი ფართობი, გაადიდოს მოსავლიანობა. კოლმეურნეობის რიცხობრივი ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება.

თესვის კამპანია ისეთივე გამარჯვებით უნდა დამთავრდეს, როგორც დამთავრდა პურის დამზადების კამპანია — ეს არის მთავარი ამოცანა მომავალ თვეებში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კოლექტიურად გაერთიანდეს მთელი საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 30 პროცენტზე არა ნაკლები; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩვენ 50 პროცენტს მაინც მივაღწევთ, ხოლო მომავალი 1931 წლის გაზაფხულზე, 70-80 პროცენტს მაინც; ასე რომ საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე საშუალება გვექნება უკვე რეალურად დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ საქართ. მთლიანი კოლექტივიზაციის ქვეყნად გამოვაცხადოთ.

(მ. კახიანის მოხსენებიდან).



საქართველოს ყველა პროვინციაში ხორციელდება მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა. მუშების და წითელარმიელების ბრიგადების აქტიური მუშაობით გლეხებში სრული გარდატეხა მოხდა.

სურათზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება წითელარმიელთა ბრიგადის მიერ (აბაშა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს. ჩიქოვანი—„მხოლოდ ლექსები“

ეხლახან გამოსული „მხოლოდ ლექსები“ (წიგნი პირველი) საშაულებას გვაძლევს შევაფასოთ არა მარტო თვით ს. ჩიქოვანის შემოქმედება, არამედ ის გზაც, რომელიც განვლო ჩვენში „მემარცხენეობამ“.

რა ახასიათებდა პირველ პერიოდში ჩვენში „მემარცხენეობას“?—იდეების და სიტყვების ჟონგლიორობა, წვრილბურჟუაზიულ „უჩვეულობით“ გატაცება, უფრო მეტი უაზრო ყვირილი, ვინემ საქმიანობა და ნამდვილი შემოქმედება.

ს. ჩიქოვანის „მხოლოდ ლექსები“-ს მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ასეთი მოვლენების შესახებ ლაპარაკობს. რით იყო პოეტი დაინტერესებული ჩვენი ცხოვრების, მეურნეობის აღდგენითი პერიოდში? რას შეეხებოდა ამ დროს მისი პოეზია და რა განწყობილებას ამჟღავნებდა ის?

ამ დროს ს. ჩიქოვანი თავის შემოქმედებაში (პოეზიაში) უფრო „თეორეტიკოსად“ გვევლინებოდა. მისი ლექსების მთელი წყება („მიძღვნა ახალ პოეტებს“, „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“ „ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე“ და სხ.) მემარცხენეობის თეორეტიულ საკითხებს არკვევდა, ან პირად განწყობილებებს შეეხებოდა.

დეკადენტურ-სიმბოლისტურ განწყობილებებსაც საკმაოდ ამჟღავნებდა ამ პერიოდში ს. ჩიქოვანი. აბა, რის შესახებ ლაპარაკობს შემდეგი სტრიქონები: „მსურდა ლექსებით ტკივილების თავის მოშორება („მიძღვნა ახალ პოეტებს“), „გუშინ მომეცი შენ ნაღველით სავსე ფიალა“ („სიმონ ჩიქოვანის ნახტომი“) და სხვ.

ძველი, ბურჟუაზიული ლიტერატურის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმიც საკმაოდ მოსჩანდა მის ლექსებში.—აქედან დიდი ბაქიაობა თავისი თავის შესახებ: „მე, რომელმაც საკვირველება დავიჭირე სინამდვილეში“, „მე თქვენში ვსჩანდი, ვით ხეებში სდგას მაგნოლია“, „რომელმაც გამოცდები ჩავაბარე დიდი მგოსნობის“ და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა ამ ხანებში ს. ჩიქოვანის ლექსებში ფუტურისტული „სიტყვათა—ქმნადობას“. პოეტი ქმნიდა „უსიცოცხლო“ ხელოვნურ სიტყვებს და მათი საშუალებით აშენებდა ლექსებს. აი ფაქტებიც:

ბადე ბაიდებს
ბუდე ბაიდებს
ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს
აიდა—ბაიდებს, აიდო ბაიდებს
ცირა ციბა, ცირა წარბი, ცირა წაბლი,
წარბენელი
ცაკუთხური, ცაკუთხედი, ხიდბოგირი
(„ცირა“).

ან კიდევ:

მეკობრეების ხიფათს აბრუებს ხაბო
ხარბი აბრემუმის ხორგი ხაბო.
რაგუ ხრეში ხარდინგი ხაბო
ბობოლი ბეგო ოფოფი ხაბო
(„სანაპირო სიმღერა“ ხაბო“).

ასეთი „ექსპერიმენტები“ გარდა იმისა, რომ უაზრო იყო, მას არავითარი ესტეტიურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ის იყო მხოლოდ დაგვიანებით დაბრუნება პირველყოფილ ფუტურიზმთან.

უკანასკნელ ხანებში ს. ჩიქოვანი ცდილობს თავი დააღწიოს „თეორეტიულ“ და პრიმიტიულ ფუტურისტულ პოეზიას. ამის შესახებ ლაპარაკობს მის მიერ ამ მახლობელ წლებში გამოქვეყნებული მხატვრული ფაქტები, ამასვე აღიარებს თვითონაც, როდესაც სწერს „მხოლოდ ლექსები“-ს წინასიტყვაობაში: „თემატიურათ კრებულის ზოგიერთი ლექსი, უკვე განვლილი ხანაა ჩემთვის“.

დღეს ს. ჩიქოვანი უფრო მეტს სწერს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების შესახებ და ნაკლებათ ეტანება ფუტურისტულ „აღმოჩენებს“. ეხლა უკვე მისი დეკლარაციაა:

მე ჩამოსული მგოსნის კიბიდან
შემქმნელ მუშების სიღრმეში გავჩნდი.
(ეს შეიძლება დრომ მიკარნახა)
მეც შევასრულე დროის ბრძანებით,
ლექსებს დაურთე ოქმის ნახევი
როგორც პასუხი ამოცანების.
(„გაბაასება ახალ მკითხველთან“)

ლექსები: „მოსავლის დღესასწაული“ „ჩადრი“, „მოწოდება თავდაცვისათვის“, „ოქტომბრიდან 27-დე“. „ემიგრაციის მწერლებს“, „საოქტომბროთ“ და სხვ. ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ეხლა მათ ავტორს გარკვეული თანამგზავრული გზა აქვს აღებული, რომ პოეტი ეხლა ცდილობს საბჭოთა ქვეყანას თავისი მხატვრული შემოქმედებით დაეხმაროს სოციალისტურ საზოგადოების აღმშენებლობაში.

მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა, ს. ჩიქოვანის პოეზიას დღესაც საკმაო ნაკლოვანებები ახასიათებს:

უპირველეს ყოვლისა, მისი თანამგზავრული ლექსების გაცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს პოეტს მხედველობიდინ ეპარება საზოგადოებრივი ურთიერთობა და მის ადგილს იჭერს ნივთთა ფეტიშიზმი (აკი ერთ-ერთ ლექსში თვითონაც ლაპარაკობს: „მუდამ ვამბობდი ნივთი ავაგოთ, რათ გვინდა ლექსით სულის ზნეობა...“ და სხვ.), ამიტომ ის ყოველთვის უფრო აგვიწერს ნივთებს და ნაკლებად საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ს. ჩიქოვანს ამ წიგნში მოთავსებული აქვს ისეთი ლექსებიც, რომლებიც უფრო შიშველი ლოზუნგების შთაბეჭდილებას სტოვებენ („მუშათა კლუბი საფრთხეში“ და სხვ.) მაგრამ დღეს არ არის საკმარისი მხოლოდ საერთო დებულებები და ტიტველი ლოზუნგები. რეკონსტრუქციის პერიოდი ლიტერატურისაგან მოითხოვს კონკრეტობას, სიღრმეს და მხატვრულ დამაჯერებლობას.

ხშირად ს. ჩიქოვანი მეტის-მეტად პრიმიტიულია კომუნისტური იდეების გამოთქმაში.

რა გვეთქმის ს. ჩიქოვანის შემოქმედების ფორმისა და საერთო ხასიათის შესახებ?

პირველყოფილი ფუტურისტული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ძლიერია ს. ჩიქოვანის წიგნში. აქედან — სქემატიზმი და არაკონკრეტულობა.

ს. ჩიქოვანს ლექსებში შეაქვს ფელეტონურ თხრობითი მანერა. ამ მხრივ ის უსათუოდ განიცდის ვ. მაიაკოვსკის ძლიერ გავლენას. როგორც ვიცით ამ უკანასკნელისათვის „სასაუბრო ენა წარმოადგენს არა მარტო ხერხს, არამედ სისტემას, რომელიც ბატონობს მისი ნაწარმოების დანარჩენ ელემენტებზე“ (ბ. არვატოვი) ს. ჩიქოვანიც ცდილობს თავისი მასწავლებლის გზას პირნათლად გაჰყვეს. სასაუბრო ენა არის გაბატონებული მისი ლექსების სხვა ელემენტებზე.

თანამედროვე პოეზია „პროზისაკენ“ იხრება. მაიაკოვსკის ბევრი ლექსი, სელვინსკის „პუშტორგი“ და სხვ. პროზის საზღვართან იმყოფება. ამ მოვლენის მიზეზი უნდა ვეძიოთ პოეზიაში ახალი მასალის (მაგ. საგაზეთოს და სხვ.) შეტანაში. ს. ჩიქოვანსაც ბევრ თავის ლექსში ორიენტაცია სწორედ „პროზაზე“ აქვს აღებული.

ს. ჩიქოვანის პოეზიის ფორმა ძირითადათ განსხვავდება ი. გრიშაშვილის და გ. ტაბიძის დარბილებულ, ტკბილ და მსუბუქ ლექსებისაგან. მისი ლექსიკონი და გამოთქმები უფრო მძიმე და ხელშესახებია (თუმცა ამავე მიზეზების გამო მისი ლექსები ისეა აშენებული, რომ მეტად საძნელო ხდება მათი ათვისება).

ს. ჩიქოვანის ლექსებში აგრეთვე ბევრია სიტყვიერი ეკველიბრისტიკა, ჟონგლიორობა, ფუტურისტული „ძიებები“ და სხვ. ეს განსაკუთრებით ითქმის მისი შემოქმედების პირველი პერიოდის შესახებ.

„მხოლოდ ლექსები“-ს ავტორი ფორმალურად მთლიანად ვერ არის განთავისუფლებული სიმბოლიზმის ტყვეობიდან. ამის შესახებ გარკვევით ლაპარაკობს: „დამნაშავე ის არ არის“, რომელიც გ. ტაბიძის გავლენით არის დაწერილი.

ს. ჩიქოვანი ხშირად თანამედროვე გრამატიკის ელემენტარულ წესებსაც კი არღვევს, მაშინ, როდესაც მას არავითარი აუცილებლობა არ მოითხოვს (მაგ. „მინდორებს“ (უნდა იყოს – მინდვრებს), „ყორანების“ (უნდა იყოს—ყორნების), „სევდები“ (უნდა იყოს—სევდა), „მოხდა რაც უნდა რომ მომხდარიყო“ (აქ ზედმეტია სიტყვა „რომ“) და სხვა.

არ შეიძლება ცუდ მოვლენათ ჩაითვალოს კრებულში ერთ და იმავე თემაზე ლექსის რამდენიმე ვარიანტის მოთავსება. ეს მკითხველს საშუალებას აძლევს გაეცნოს პოეტის ლაბორატორულ მუშაობას, მის იდეოლოგიურ-მხატვრულ განვითარების გზებს.

ერთ-ერთ ლექსში („სოფელი მოგონების სახით“) ს. ჩიქოვანი მიმართავს: „დედავ მერწმუნე სამშობლოში მე ვარ მართალი, მაგრამ ჩემს სიტყვას ჯერ სახალხოდ არ იჯერებენ“. ჭეშმარიტად სიმართლის აღიარებაა. ჯერ კიდევ დიდი იდეოლოგიური და ფორმალური მუშაობა დასჭირდება ს. ჩიქოვანს, რომ მისი სიტყვა „სახალხოდ დაიჯეროს“ ახალმა, მუშურ-გლეხურმა მკითხველმა.

რეკონსტრუქციის პერიოდი თანამგზავრთა წინაშე აყენებს ახალ, რთულ ამოცანებს.

ახალგაზრდა, საბჭოთა ინტელიგენცია, რომლის სახელითაც ლაპარაკობს ს. ჩიქოვანი, უფრო მეტად უნდა გაიმსჭვალოს სოციალისტური აღმშენებლობის საქმით, ღრმად ჩასწვდეს მას და სრულად გვიჩვენოს ის. არ კმარა ლაპარაკი საერთოდ რევოლიუციის შესახებ, უნდა დავინახოთ აგრეთვე მისი სოციალური მიმართულება, შინაარსი და საქმიანობა.

ს. ჩიქოვანის ისეთი ლექსები, როგორიცაა „მოსავლის დღე“, „ჩადრი“, „ემიგრაციის მწერლებს“, ლაპარაკობენ იმის შესახებ რომ მას აქვს შესაძლებლობა დასძლიოს ნაკლოვანებანი, ჩავარდნები და უფრო მტკიცედ მიუდგეს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომელსაც რეკონსტრუქციის პერიოდი უყენებს მხატვრულ მწერლობას.

შალვა რადიანი.

# ქუთაისის სახელმწიფო თეატრი

ქუთაისში არსებულ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით თეატრს წელს განსაკუთრებული სახე მიეცა. თეატრმა თითქმის მთლიანდ უარყო ძველი პიესები და გადავიდა თანამედროვე რეპერტუარის სცენიურ განსხეულებაზე.



ბ ა ი ლ ი

თანამედროვე რეპერტუარის შექმნა თეატრმა ქართულ ორიგინალურ დრამტურგიას დააკისრა და ამით ქართველი ავტორები გამოვიდნენ თეატრის წინა პლანზე. როგორც მოსალოდნელი იყო ავტორების უმრავლესობა პროლეტარული მწერლები და უახლოესი თანამგზავრები აღმოჩდნენ.

ცდა, რასაკვირველია, მისასალმებელია და უსათუოდ თეატრის აღებულ გზას საჭიროა ხელის შეწყობა და დახმარება, მაგრამ ქართული დრამატურგია ჯერ იმდენად ვერ არის მოღონიერებული და ძველი კრიტიკის ენით რომ ვსთქვათ, „ხერხემალ გამაგრებული", რომ მასზე სავსებით დაყრდნობა შეიძლებოდეს. 22-23-24 წელმა თეატრალურ ცხოვრებაში მოსჭამა თავისი დრო. ეს ხანა თეატრში აღინიშნება როგორც რეჟისორის მიღწევების ხანა. თეატრალურ ცხოვრების ხსენებულ ეტაპზე რეჟისორები სუსტ პიესებიდან, პლაკატურ ტექსტიდან აკეთებდნენ რევოლიუციონურ სპექტაკლებს. რეჟისორი ქმნიდა გარეგნულ კონსტრუქციებს და შინაგანი დრამა მახვილ მიზანსცენებისა და არტისტული რხევის დინამიკით იყო მიღწეული. სიტყვა ისმოდა ტკვეთრად, მაგრამ ის იყო მხოლოდ დამხმარე და მეორეხარისხოვანი მოვლენა.

ამ ხანამ დააბერა საჩქაროთ თეატრალური მემარცხენეობა. შიგნეულობა გამოცლილი სპექტაკლი მალე კვდება. მაყურებელი შეეჩვია მახვილ ექსპერიმენტებს რეჟისორულ აღნაგობისას და მოითხოვა პიესის სიტყვა და აზრი, რომელიც ეთანაბრება თეატრის გარეგნულ მიღწევებს. პიესები დროზე არ აღმოჩნდა. დაგვიანება არ შეიძლებოდა და რეჟისორებმა კლასიკური რეპერტუარი მოიმარჯვეს.

აქ მეორეთ დამარცხდა მემარცხენე თეატრი რევოლიუციის გამოზრდილი თანამედროვე თეატრი და მაყურებელი ვერ შეეგუა კლასიკურ პიესების სურნელოვან სუნს და თეატრმა სიბერის ღერბი გადაწყვეტით მიიღო.

ამ დროს აღმოჩნდნენ რუსეთში ს. ტრეტიაკოვი, კირშონი ბეზიმენსკი, მაიაკოვსკი, ლებედინსკი, და სელვინსკი. მათ მოიტანეს ახალი დრამატურგია, როგორც თემატიურათ, ისე აღნაგობითაც. აქედან იწყება ახალი თეატრი.

ეს თეატრი სჭირია რეკონსტრუქტიულ პერიოდს. ხელოვნების ფაქტს მისი საზოგადოებრივი ფუნქციონალობა საზღვრავს. ხსენებული პიესები ფუნქციონალურათ გამართლებულია.

ქართულ დრამატურგიაში ხდება რუსული დრამატურგიის პოლიარული ცდა.

თანამედროვე რეჟისორის მოვალეობაა ავტორის განზრახვები გაიგოს და ავტორის დრამატიულ კვანძების და იდეალის სცენიური გამოაშკარავება შესძლოს. აქ არის რეჟისორის ტრაგედია. პიესას თუ კარნახი არ შეუძლია, მაშინ რეჟისორმა რა გამოიტანოს მაყურებელის წინაშე.

ისეთი გამბედაობის დროს, რომელიც ქართულ დრამატურგიაზე გადასვლით მოხდა, ეს ხიფათი მოსალოდნელი იყო და არის. ახალგაზრდა დრამატურგები შეცდომებს ვერ ასცილდე-



თეთრები 1 მოქ.



თეთრები 1 მოქ.

ბოდნენ, თუმცა ზოგიერთი დამარცხება მომავალი გამარჯვების საწინდარია.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრმა მოგვცა გასულ წელს ორიგინალური პიესებით შექმნილი სპექტაკლები, როგორიც არის „ყვარყვარე თუთაბერი" „როგორ" და სხვ. წელს ამ ნუსხას მიემატება დია ჩინელის „ბაილ" ალ. ქუთათელის „შუაღამეშ გადაიარა" დემნა შენგელაიას „თეთრები" გ. ბუხნიკაშვილის „კი მაგრამ" და მზადდება კარლო კალაძის პიესა „ხატი ჯოე".

სეზონში ხუთი ორიგინალური პიესის მიცემა და ხუთი ქართველი პროლეტარულ და თანამგზავრ მწერლის გამოყვანა თეატრის მიღწევათ ჩაითვლება. შეიძლება აქ ხარისხოვნული ზრდა არ გვქონდეს პიესების, მაგრამ დრამატურგების მასის ამოძრავება უკვე დიდი იმპულსია ქართულ თეატრალურ კულტურაში და ეს თავდებია მომავალი მიღწევების ქართულ პიესების საშუალებით.

„ბაილის" შესახებ უკვე ბევრი დაიწერა პრესაში და აქ მას კიდევ არ გამოვიტანთ კრიტიკის საფილტრაციო მასალათ.

„თეთრები" სპექტაკლი საკმაოთ ემორჩილება სცენიურ მოწოდებას და მისი განსხეულება სცენაზე ანსამბლის სრული გამარჯვებით სრულდება. აღსანიშნავია და სრულიად უჩვეულოა, ვერიკო ანჯაფარიძე, ამერიკელ ქალის როლში. ირინა დონაური, შაქრო გომელაური, ო. ზაქარიაძე და მთლიანად მონაწილე მსახიობნი ძლიერი დრამატიზმით და ოსტატობით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

მე ვფიქრობ მესამე მოქმედება სცენიურ მიზანსცენებით და ზღვაური შუქწერით შეუდარებელია. ანალოგიები შეიძლება კინო სურათების კადრებთან. პიესის ნაკლია პრობლემის დავიწროვება და მწაფრ სხეულებამკე დასულ დრამატიზმთან ერთად სქემატიურობა.

სიტყვიერი მასალა საკმაო ოსტატობით არის დამუშავებული. კარგია მუშების ბაასი პირველ მოქმედებაში.

მეორე პიესა ეკუთვნის პროლეტარულ მწერალ გ. ბუხნიკაშვილს. „კი მაგრამ" ქართული თანამედროვე სატირის ცდაა. როგორც პირველი ცდა ის უსათუოდ დაძლეულია და შემდეგში ამ გზით ავტორს სჭირია მეტი მუშაობა. უსათუოდ მისი საxით ჩვენ გვეყოლება სატირის კარგი ოსტატი.

პიესა ჩამორჩენილ პროვინციის სახეს იძლევა.

პიესაში ხშირია ლიტერატურულათ დაცული ენა, მახვილობა და ტექსტუალურათ ის წარმოადგენს საკმაო დამაჯერებლობით შექმნილ კომიკურ სახეებს. რეჟისორულათ პიესა „კაკალ გულის" ტრადიციის გაგრძელებაა, მხოლოდ აქ მეტი წონასწორობაა დაცული. მსახიობებში



თეთრები მე-3 მოქ.



ბ ა ი ლ ი

აღსანიშნავია ს. ჟორჟოლიანი, შალვა ღამბაშიძე, პეტრე ჭიჭინაძე და სხვები, განსაკუთრებულია ცეცილია წუწუნავა.

სპექტაკლი ძლიერ მხიარულად მოდის და „ჯანსაღი სიცილი" პარტერში გაშლილია.

**ლამსწრე.**

# გარდატეხა

(ნაწყვეტი)

ღამის ორი საათი იქნებოდა.

ქალაქის განაპირა უბანს ღრმად ჩასძინებოდა.

არ ეძინა მხოლოდ რკინიგზის მთავარ სახელოსნოს ხე ნკალ გივის ოჯახს.

ქმრის მოლოდინით და პაწია ვაჟიშვილის ავადმყოფობით შეწუხებულ გივის მეუღლე ცისანას უძილობისაგან დაღლილი თვალები საცრემლოდ ცხისლებოდა, მაგრამ თავს იმაგრებდა ტირილისაგან და ყელში მობჯენილ ბოღმას გულშივე იკლავდა.

— ხმალაქაც მთვრალი მოვა:—სასოწარკვეთით ჩაილაპარაკა და ყრუდ ჩაიქვითინა.

— ოხ, გივი, გივი, რა გულქვა და უსამართლო რამა ხარ; ნეტავ იცოდე მაინც რა ჯოჯოხეთის გაუნელებელი ცეცხლი ტრიალებს ამ ჩემს დასაძიწებელ გულში... მე თუ არ გეცოდები, შვილები მაინც შეიბრალე შე უწყალოვ...

— დედა!—მოესმა ავადმყოფი პაწია ბიჭიკოს სუსტი ხმა.

— რა გინდა თავს შემოგევლე, შვილო—მშობლიური გრძნობით მიეფერა ცისანა და ძილში სახეზე ჭირხლივით დაყრილი ცივი ოფლი ფრთხილად მოსწმინდა.

— მამა არ მოსულა?—ჰკითხა დედას ტიკტიკით.

— არა, ჩემო სიცოცხლევ, ჯერ არ მოსულა. .

— როდის მოვა?

— მალე, ჩემო შვილიკო, სულ მალე...

— დედა, თუ ვინმემ დაიძახოს, გაიხედე, იქნება ჩემი მამილო იყოს.

— კარგი, ჩემო სიხარულო, დაიძინე...

— დედიკო, მწყურიან.

— ეხლავე, დედა გენაცვალოს, შვილო, ეხლავე...

ცისანამ დაალევინა წყალი, გვერდით მოუწვა და ნაღვლიანი ნელი ნანით მიაძინა.

უძილობისაგან ქანც-მილეული ცისანას თვალები ეხუჭებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა, გარინდული მისჩერებოდა ოთახის კარებს და...

ეზოში ძაღლმა ყეფა ასტეხა.

ცისანა დამფრთხალ შველივით ზეზე წამოვარდა.

მღელვარებისაგან გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო.

— გივი უნდა იყოს... წავიდე გაუღო ალაყაფის კარები—თრთოლვით დაილაპარაკა ცისანამ და წასვლა დააპირა, მაგრამ სიბნელისა შეეშინდა.

— ვინა ხარ?—გადასძახა მეორე სართულის აივნიდან სახლის პატრონმა.

— მე ვარ, გივი!—უპასუხა ხრინწიანი ხმით ქუჩიდან.

სახლის პატრონი უკმაყოფილო ბურდღუნით ჩამოვიდა ეზოში და გაუღო ალაყაფის კარები.

— სადა ხარ, შე კაი კაცო, აქამდის.

- რბილად უსაყვედურა სახლის პატრონმა და კარებს ურდული გაუყარა.

ნერვებ დაწყუსტებულმა ცისანამ მოიკრიბა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რომ დაგუბებულ ზღვა-გრძნობას უეცრივ ერთად არ ამოეხეთქნა და არ აქვითინებულიყო.

გივიმ ბარბაცით შეაღო ოთახის კარი და ბოდიშის მოსახდელად თუ მისაალერსებლად ცისანასაკენ წაიწია.

— ახლოს არ გამეკარო! — შეუტია მან და უკან დაიხია.

გივი დაიბნა.

არ მოელოდა ასეთ წინააღმდეგობას. თითქოს გამოფხიზლდა კიდეც. თავის მართლებას შეუდგა, მაგრამ....

— ხმა არ გამაგონო!—შეჰკივლა ცისანამ და მიმქრალი თვალები რისხვით აენთო.

— საქმე მქონდა, გეფიცები...

— სტყუიხარ!—შეაწყვეტინა პირში.

— დამნაშავე ვარ... მაპატიე...

— გამეცალე, გამშორდი, მეზიზღება შენი მაგ ყოფაში ყურება!—

— სუუ, ნუ ყვირი... სირცხვილია...

— რაო?! შენ და სირცხვილი?! ლოთო! გაოხრებულო! ხა-ხა-ხა-ხა!—ისტერიულად გადიხარხარა ცისანამ და გულშეღონებული გაიშხლართა იატაკზე.

ყვირილზე მძინარე ბავშვებმა დაფეთებულ კურდღლის ბაჭიებივით სჭყიტეს თვალები და იატაკზე გაშხლართული დედა რომ დაინახეს, ტირილით წამოცვივდნენ ლოგინიდან.

გივი შეშინდა...

დაიბნა...

ხმაურობაზე სახლის პატრონის ცოლი ჩამოვარდა, ეცა წყალს და მოსულიერება დაუწყო ცისანას.

გივიმ დაყვავებით სცადა ატირებულ ბალღების დაშოშმინება, მაგრამ არც იმათ გაიკარეს სიახლოვეს.

ოდნავ გონს მოსულ ცისანას ჩაესმა თუ არა ყურში ბავშების ბღავილი, ელდა ნაკრავივით წამოიჭრა და ვაიშვილებოს წივილ-კივილით ხელები წაიშინა თავში.

თავზარდაცემულმა გივიმ ველარ გაუძლო ამ საშინელებას, შეშლილივით გავარდა გარეთ ღამის სიბნელეში და უნუგეშო ქვითინით დაემხო მიწას...

*
* *

მეორე დღეს გივი დროზე დაბრუნდა სამუშაოდან სახლში.

ოჯახში დატრიალებულ წუხანდელ შფოთსა დაქწუხრებას თავისი დაღი დაესვა.

სახის გამომეტყველება აშკარად ხდიდა მის სულიერ მწვავე განცდათა ვითარებას და სინდისის ქეჯნას.

ეტყობოდა დიდი ცვლილე ა და მტკივნეული გარდატეხა ხდებოდა მის შინაგან არსებაში.

ალარ იცოდა რით და როგორ გამოესყიდნა ცოლშვილის წინაშე ჩადენილი დანაშაულობანი. თავ-ჩაღუნული ბოლთის ცემით ტრიალებდა იგი ოთახში და სიმწარისაგან თითებს იმტვრევდა.

*
* *

ღამდებოდა...

ჩამავალი მზე სწიფე უნაბისფერ სხივთა ისრებს ესროდა გივის ოთახის ფანჯრებს და ისე წითლად აჩახჩახებდა მინებს, რომ შორით მაყურებელს ეგონებოდათ ხანძარი მოსდებია სახლს შიგნით და ცეცხლის ენები გადმოუყვია გარეთ, მეზობელ შენობების ასალოკადაო, ნამდვილად კი სახლი ისევ სახლად დარსა მზის ჩასვენების შემდეგ, ხოლო გივის გულში გაჩენილი ხახძარი ისევ განაგრძობდა მწმენდავ მოქმედებას.

მწუხრით მოსულ სიჩუმეს მხოლოდ სამოვრის გაბმული შიშინი არღვევდა.

მაგიდის ერთ კუთხეში იჯგა ღრმად ჩაფიქრებული ცისანა და ლამბაქებზე ჩაის უსხამდა თავის შვილებს.

გივი მოუსვენრად მიდი - მოდიოდა ოთახში და ცალი თვალი ცოლ-შვილისაკენ ეჭირა.

— ცისანა!—დიდი ხნის დუმილისა და ყოყმანის შემდეგ ძლივს გაბედა გივიმ გამოლაპარაკება, მაგრამ ცისანამ პასუხი არ გასცა.

— რაც იყო, იყო... შევრიგდეთ — ხმის კანკალით განაგრძო მან და სინანულის ცრემლებით მოებანა ნაღვლიანი თვალები.

— არა, შენი აღარაფერი მჯერა! შენ უკვე დაკარგული ხარ შენთვისაც და ჩვენთვისაც!—მწუხარებით მიუგო ცისანამ და შვილებს ალერსით გადაუსვა თავზე ხელი.

— აღარ დავლევ... გეფიცები შვილებს, რომ აღარ დავლევ...

— ნუ ფიცულობ შვილებს, შენ ღირსი არა ხარ მათი!

— აღარ დავლევ მეთქი, გაძლევ პატიოსან სიტყვას.

— სტყუიხარ! რამდენჯერ მოგიცია პირობა, მაგრამ არც ერთხელ არ შეგისრულებია! არა, კმარა ამდენი თვალთმაქცობა, კმარა ამდენი სიცრუე! მე ბავ-

ში არა ვარ, რომ აბუჩად ამიგდო მუდამ! უნდა გათავდეს, ბოლო უნდა მოეღოს ასეთ აუტანელ მდგომარეობას! ორში ერთი: ან ჩვენ, ან ღვინო! აირჩიე რომელიც გერჩივნოს!

— შენ დამეხმარე შენის ნდობით... გამამხნევე... ხელის ჩაქნევით ნულარ წამომძახებ: ლოთი ხარ, ველარ მოიშლი ღვინის სმასო და დღეის იქით ნახავ, რომ მეც შემძლებია ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა და მიცემულ პირობის პირნათლად შესრულება.

— განა არ ვცდილობდი, განა ხელს არ გიწყობდი, რომ როგორმე ამომეყვანე მაგ სიბინძურის წუმპედან? განა მუდამ იმას არ გევედრებოდი, რომ კავშირი გაგეწყვიტნა ისეთ, ვითომდა, ამხანაგებთან, რომლებიც სარგებლობენ შენი სისუსტით და ნახევარ ჯამაგირს სამიკიტნოებში გახარჯვინებენ? მერე, ვინ გიმადლის? არავინ. შარშან სამი თვე იწექ ლოგინში ფილტვების ანთებით და არც ერთმა მათგანმა არ მოგაკითხა: კვდები, თუ რჩებიო... აბა შენ თითონ წარმოიდგინე შენი თავი ჩემს მდგომარეობაში: მიუხედავათ იმისა რომ ქმარშვილი მყავს, მაინც საშინელ სიმარტოვეს განვიცდი. მეც მინდა სულიერი მეგობარი მყავდეს... მეც მინდა ხალხში გასვლა, კულტურული ცხოვრება... რათ უნდა ვიყო ასე გაუხარელი, ასე კარჩაკეტილი და უთვისტომო? იქნება ვკვდები, იქნება მკლავს ვინმე, ვის უნდა დაუძახო, ვინ მომხედავს? არავინ! შენ შენი სიამოვნებისათვის შუაღამემდე ლოთობაში ატარებ დროს და ჩვენ ხშირად ლუკმა პურიც კი გვენატრება სახლში... არა, აღარ შეიძლება ასე ცხოვრება... ნუ მიმიყვან იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ან გაგეყარო, ან თავი მოვიკლა... ასეთი ოჯახი ან უნდა დაინგრეს, ან გარდაიქმნას და განახლდეს!.. სხვა გამოსავალი არ არსებობს!..

გივი მეხდაკრულივით იდგა და მეუღლის თვითეულ საჰართლიან საყვედურზე წყევა-კრულვას უთვლიდა მათრობელა სასმელების მომგონს.

* * *

თენდებოდა...

ლურჯი სინათლე იჭრებოდა ფანჯრებში...

მყუდროებით გარინდული ცა ქარხნების საყვირთა გუგუნმა შეარხია...

ქალაქის დაყრუებული ქუჩები ახმაურდნენ ზღვასავით გამოშლილ შრომის ჯარებით.

გივიც გაჰყვა საყვირის მოწოდებას, მაგრამ ქარხანაში კი არ წასულა, რადგანაც თავს ძალიან ცუდათ გრძნობდა.

— სულ ერთია, სამუშაოდ მაინც არ ვივარგებ დღესაო—წაიდუდღუნა თავისთვის გივიმ და ისევ სახლში მიბრუნება დააპირა, მაგრამ გადიფიქრა: ჯერ ადრეა, ეძინოთ, დიდი მღელვარება-უსიამოვნება შეხვდათ და მყუდროება-დასვენება ესაჭიროებათო.

უმიზნოთ მიდიოდა იგი მორწყულ-მოკრიალებულ ქუჩიდან-ქუჩაში და დილის სალ ჰაერს ხარბად ისუნთქავდა.

ამ უთავბოლო ხეტიალში გივიმ ქალაქის შუაბაზარში ამოჰყო თავი, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სამიკიტნოებია ღია, გამვლელ-გამომვლელთათვის ხაფანგებათ დაგებული.

გივი თავისდაუნებურად შეჩერდა ერთ-ერთ სამიკიტნო-სარდაფის წინ, საიდანაც სპირტეულობის ამომავალი სუნი შიგ ცხვირში სცემდა, რაც სმის საღერღელს ულიზიანებდა.

— ჩავიდე, თუ არ ჩავიდე?!. ჩავიდე, თუ არ ჩავიდე?!—მერყეობდა გივი და ციებ-ცხელებიანივით კანკალებდა არყის გადაკვრის ნდომით.

— მოდი ჩავალ... ერთი ჭიქა რას მაწყენს... პირიქით. მარგებს კიდეც... გამომაკეთებს—არწმუნებდა იგი თავის თავს და თან შიში იპყრობდა: ვაი თუ ჩამითრიოს და დამათროსო.

ამ ყოყმანში და ჭიდილში იყო, რომ ვიღაც მოეპარა ზურგიდან და მხარზე ხელი დაჰკრა.

გივი შეკრთა.

— რამ შეგაშინა, კაცო!—სიცილით მიმართა ნაცნობმა, რომელსაც კრახანანაკბენივით დასიებული სახე და წიწაკასავით გაწითლებული ცხვირი უმტკიცებდა პროფესიონალურ ლოთობას.

გივის არ ესიამოვნა მისი შეხვედრა.

— რამ იცოდე როგორ გამეხარდა შენი ნახვა—განაგრძო ნაცნობმა—ვნატრობდი: ნეტავ ერთი ისეთი ვინმე შემხვდეს, რომელიც ან „გადამაკვრევინებს“, ან „გადავაკვრევინებ“-მეთქი და, ამისრულდა კიდეც. შენზე უკეთესი ძმა-კაცი სადღა უნდა ვეძებო. წამო, თითო „თხლაშოვი“ ჩავცეცხლოთ.

გივიმ ხმა არ გასცა.

— რამ დაგაძმარა, კაცო, ნაქეიფარი თუ ხარ, არაყი გამოგაკეთებს. მართალი გითხრა, მეც უქეიფოთა ვარ. გუშინ თავ-ფეხებიანათ ჩავიხრჩვით „ქოსების“-ს ღვინოში და თუ ორიოდე ჭიქა ჭაჭის არაყი არ გადავხუხე, კაცად არ ვივარგებ.

— შენ შენი იცოდე, მე კი დიდათ გმადლობ, არ მინდა!—მტკიცედ მიუგო გივიმ და წასვლა დააპირა.

— მოიცა, კაცო, რა მიგარბეინებს, რა დაგემართა!—არ ეშვებოდა ნაცნობი და მკლავში ჩაბღაუჭებული სამიკტნოსაკენ ეწეოდა.

— არ დავლევ-მეთქი, გეუბნები!—ცივ უარზე იდგა გივი.

— რათა, ძმაო, ხომ არ მემდური?

— შენთან რა მაქვს დასამდურებელი, გადავწყვიტე აღარ დავლიო,—მოიჩა და გათავდა.

— თუ ძმა ხარ, თუ ხათრი გაქვს... თითო ჭიქა, მხოლოდ თითო ჭიქა... მეტს არ დაგალევინებ...

— არც ერთი წვეთი!

— კარგი, შენ ნუ დალევ, ისე ჩამომყევი...

— არც ისე და არც ასე!

— მაშ, სამუდამოთ აიღე სმაზე ხელი?

— სამუდამოთ!

— მაშ, ყველაფერი გათავებულა ჩვენ შორის...

— თუ, ლოთობის მეტი სხვა არაფერი გვაკავშირებდა, ცხადია, გათავდა!

— ერიჰააა, შენ მართლა ხელიდან წასულხარ... მერე, რა კარგი ძმა-კაცი იყავი, რა ჩინებული თამადა... ღვინის სმაში ბადალი არ გყავდა... ეხლა კი, ეხლა... ეჰ, რამდენი ტკბილი პურ-მარილი და დროს ტარება მახსოვს შენგან... მოდი, გამოსათხოვარი მაინც დავლიოთ უკანას ნელად...

— რას ჩამაცივდი, რა გინდა ჩემგან?!—ხმა მაღლა შეუტია გივიმ და თვალები მტრულად გადაუბრიალა.

— არა, ძმაო, შენ ის გივი აღარა ხარ... მთლად გამოცვლილხარ...

— მართალია, მე ის აღარა ვარ, რაც დღემდე ვიყავი!.. მშვიდობით!—მტკიცედ ჩამოართვა ხელი გივიმ და გაუდგა გზას.

სახტად დარჩენილმა ნაცნობმა წყენით გააყოლა თვალი და ხელის ჩაქნევით შევიდა სამიკიტნოში.

* * *

სადილობის დრო იქნებოდა... გივი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო სახლში...

— ეჰ, დღესაც ისევ გალეშილი მოვა—ამოიოხრა ცისანამ და მწუხარებას მიეცა.

* * *

თავის თავთან ბრძოლა-ჭიდილში ჩაბმული გივი ისე გაეტაცნა ფიქრთა ქარავანს, რომ თითონაც ვერ მიმხვდარიყო თუ საიდან გაჩნდა იგი სასაფლაოზე.

მარმარილოს ძეგლთა შორის დაეხეტებოდა ობლათ გივი და მხოლოდ მივიწყებულ მიცვალებულთა საფლავების ქვათა წარწერებს კითხულობდა.

ერთ ქვაზე შემდეგი ლექსი ეწერა:

მე ვარ ზემლემერი,
ნიკოლოზ კვიზერელი,
21 წლისა,
ველოდდი კარგ ჩინსა,
მაგრამ მის მაგივრად
ეს ლოდი მეღირსა.

ჰმ!—მწარედ ჩაიცინა გივიმ—საწყალი კაცუნა, საწყალი „ჩინოვნიკი“... უფროსების თვალ-წარბში ცქერით ძლივს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთგულება“ დაუმსახურებია, დღე-დღეზე „ჩინის“ მოლოდინში ყოფილა და, დახეთ ბედის სიმუხთლეს: „ჩინის“ მაგივრად საფლავის ლოდი ჰღირსებია... ეჰ, ასეა, უბედურო ნიკოლოზ კვეზერელო; შენი სეხნია ნიკოლოზ რომანოვიც ბევრ კარგ რამეს ელოდა, მაგრამ შენზე უარესი ხვედრი ხვდა.

ამ სიტყვებით შეაქცია ზურგი გივიმ და იქვე კვეზერელის მეზობლად მდებარე საფლავის ქვას დააშტერდა, რომლის ამოჭრილი ასოებიც დროთა ვითარებისაგან საგრძნობლად გაცვეთილიყო, მაგრამ მაინც შესძლო გარჩევა და საგონებელს მიეცა შემდეგი სტრიქონების ამოკითხვით:

იყოს ხსოვნა მისი,
ვისაც ეს ქვა აძევს
და შენდობილ იქნეს
„გრაფ“ დავით ჰიპაძე.
მუდმივი ლოთობით
იგი ისე ყარდა,
რომ მისი შეხვედრა
სიკვდილსაც შეზარდა.
ერთ დღეს ის შემთხვევით
ფხიზელი აღმოჩნდა
და სიკვდილიც მხოლოდ
მაშინ მიუჩოჩდა.
ამოაძრო სული,
ჰქმნა საქმე კეთილი
და მიკიტნებს იმ დღეს
ჩამწარდათ სადილი.

— ნუ თუ მეც ასე დამემართება?!. ნუ თუ მეც ასეთ საბედისწერო შემთხვევითა ვარ დღეს ფხიზლად?! — ეკითხებოდა გივი თავის თავს და გადაჭრით უარჰყოფდა — არა! არასოდეს! და თუ ასეა, თუ მეც მხოლოდ სასიკვდილოთა ვარ ფხიზლად, დეე აღსრულდეს! ათასჯერ უკეთესია სიკვდილი, ვიდრე ის სამარცხვინო სიცოცხლე, რომელიც მე ნებსით თუ უნებლიეთ გამოვიარე და რომელსაც უბედურობის მეტი არა მოუტანია-რა! — ასეთი რწმენით დასტოვა გივიმ სასაფლაო და მხოლოდ ქუჩაში გამოსვლისას მიხვდა, რომ კარგა დიდი დრო გაფრენილიყო. ფეხს აუჩქარა.

განმტკიცებული ნებისყოფით მიაბიჯებდა გივი შინისაკენ და კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა დაწმენდილ სახეზე.

— დედა, მამა მოდის, მამა! — ახარეს ეზოში მოთამაშე ბავშებმა ცისანას, რომლებმაც შორიდანვე მოჰკრეს თვალი გზაზე მომავალ გივის.

— შემოდით, დედა გენაცვალოთ, შემოდით, თორემ მთვრალი იქნება და გცემთ.

— არა, დედა, ფხიზელია, იცინის! — აღტაცებით გაიძახოდნენ ბავშები და ჩვეულებისამებრ აღარ ემალებოდნენ მამას.

გივიმ თამამად შეაღო ეზოს კარი და მისგან ალერს მოკლებული შვილები რომ დაინახა, ხელები გაშალა და გულში ჩაიკრა სიყვარულით.

გაოცებული ცისანა ქანდაკებასავით მომდგარიყო ფანჯარასთან და სიხარულის ცრემლები სცვიოდა ბედნიერების ხილვით.

ამ დღიდან გივის აღარც ერთი წვეთი ღვინო აღარ დაულევია და ცოლშვილთან ერთად კმაყოფილი კულტურულ ცხოვრებას ატარებს.

გ. ქუჩიშვილი.

# პურის ფაბრიკა

წინად როდესაც პურის ცხობის საქმე მოქცეული იყო კერძო პირების ხელში, რომლებიც ფიქრობდნენ მხოლოდ რაც შეიძლება მეტ მოგებაზე, პურის მცხობელის მუშაობა მეტად კოშმარულ პირობებში მიმდინარეობდა.

სინესტე, პურის საცხობი შენობების სივიწროვე, სანიტარიის და ჰიგიენის ელემენტარულ პირობების უქონლობა, ყველაფერი ეს დაღს ასვამდა გამომცხვარი პურის ხარისხზე.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიექცა პურის ცხობის საქმეს ყურადღება და მას წაუყენეს გადიდებული მოთხოვნილებები დაწყებული სპეცტანსაცმელიდან, ინდივიდუალური შკაფებიდან, ჰაერის და სინათლის საჭირო რაოდენობიდან და გათავებულ ელექტრონის ვენტილიაციამდე და მექანიზაციაქმნილ პურის ქარხნებამდე, რომლებიც საბჭოთა კავშირში აგებულია 40-დე და ხუთწლიანი გეგმით განზრახულია კიდევ აიგოს 50 ასეთი პურის ქარხანა.

თბილისში პურის ქარხნის აგების საკითხი წამოიჭრა 1924 წელს და სპეციალური კომისიის მიერ ყოველმხრივი განხილვის შემდეგ ცნობილ იქნა არა დროულად, რადგან მაშინ პურის ბაზარი კოოპერაციას მხოლოდ 22 პროცენტით ეკავა, ხოლო დანარჩენი 78 პროცენტი კერძო ვაჭრის ხელში იყო.



თბილისის მუშკოოპს მოუვიდა აუარებელი პური, რომლითაც აივსო ყველა საწყობები და ზედმეტი პური ინახება ცისქვეშ ბრეზენტებ გადაფარებული.

1926 წელს მეორეთ დაისვა საკითხი პურის ფაბრიკის აგების შესახებ. წარმოდგენილი იყო მთელი რიგი პროექტები, სწარმოებდა ადგილის ამორჩევა მშენებლობისათვის და როდესაც ადგილი ამოარჩიეს ლენინის სახელობის სტადიონის გვერდით, 1928 წელს გეგმა დამტკიცებულ იქნა.

შემოდგომაზე მოხდა მუშკოოპის პურის ფაბრიკის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა. ზეიმს დაესწრენ თბილისის მუშების წარმომადგენლები, გაისმოდა მისალმებები, სურვილები დაწყებული საქმის წარმატებით დამთავრებისათვის.

მშენებლობა გაჩაღდა, ცარიელ ადგილზე აღიმართა რკინა-ბეტონის გიგანტი.

ახალი პურის ფაბრიკა შესაძლებლობას მოგვცემს არა მარტო გავაუმჯობესოთ გამომცხვარი პურის ხარისხი არამედ გავაიაფოთ ცხობის ღირებულება 1 მ. 50 კ დან — 80 კაპ-მდე ფუთზე. პურის ფაბრიკაში ყოველმხრივ შემსუბუქდება მუშების და პურის მცხობელების მუშაობა.

პურის ცხობის მთელი პროცესი მექანიზაციქმნილ იქნება, არც ერთი ხელი არ მიეკარება პურს, ყველაფერი თავიდან ბოლომდე გაკეთდება მანქანებით. ცომის საზელი უშველებელი მექანიკური „ხელებით“.

ავტომატიური სასწორი, გასაცრელ მანქანები, ორსართულიანი ღუმელები — ყველაფერი ეს დამზადებულია საბჭოთა ქარხნებში.

პურის ფაბრიკის დღიური პროდუქცია იქნება 1500-2000 ფუთი პური. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მერვე წლის თავისათვის ეს ქარხანა მზად იქნება.

ჩვენი მრეწველობა გამდიდრება კიდევ ერთი ინდუსტრიალური ერთეულით.

ე. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბუბა“

## საქართველოს სახკინმრეწვის მორიგი გამოშვება.

საერთოდ საბჭოთა კინემატოგრაფიაში აქამდის ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ კულტურფილმებს. სახკინმრეწვიც ამ მხრივ ჩამორჩა და მხოლოდ მიმდინარე საწარმოო წელში უშვებს რამდენიმე კულტურფილმს საკუთარი წარმოებისა.



სურათი „ბუბა“ წარმოადგენს სრულმეტრაჟიან კულტურფილმს. მისი სიუჟეტი აგებულია სამხედრო-ოსეთის გზის პეიზაჟის და ზამო-რაჭის მთის სოფლების ყოფის მასალაზე. ტურისტი, რომელიც მოყვარულია ეგზოტიკის, დაეხეტება რაჭის მყინვარებზე, მოდის აღტაცებაში ბუნებრივი სიმდიდრისაგან და არ ხ დავს რაჭის სოფლის ნამდვილ სახეს. მოეხსენება მას ვარდისფერი სათვალეები და იწყება დემონსტრაცია ნამდვილ სოფლის, მთელი მისი







მძიმე ყოფით: უგზოობა, მიწათმოქმედებისათვის აუტანელი გეოგრაფიულ-კლიმატიური პირობებით, მძიმე სამუშაოები ქალების და ბავშების, რომელნიც ასრულებენ შინაურ და მინდვრის სამუშაოს. სურათის მესამე ციკლში არის ჩვენება რაჭაში წარმოებულ აღმშენებლობისა, რომლის საფუძვლად არის აღებული ს. მ. უ. ს. 10 წლის გეგმა.

სურათის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ **ნინო ღოღობერიძეს**, ოპერატორი, **ს. ზაბოზლაევი.** ტურისტის როლს ასრულებს ქუთაისის დრამის მსახიობი **პეტრე ჭიჭინაძე**, მხატვარი **დავით კაკაბაძე**.

კინო-ექსპედიციამ მოიარა თითქმის მთელი რაჭა. გადაღებულია მყინვარები **ფასის მთა**, მდ. რიონის სათავე, **კირტიშო** და **ბუბა** 4040 მეტრის სიმაღლეზე. მთავარი კინო-გადაღებანი სწარმოებდა სოფ. **ღებში** 2100 მეტრის სიმაღლეზე. მუშაობის პირობები მეტად აუტანელი იყო. ხშირად ექსპედიციას უხდებოდა 20-25 კილომეტრის გავლა ფეხით და 40-45 კილომეტრის ცხენით. მამისონის უღელტეხილზე ექსპედიცია მოხვდა თოვლის ქარ-ბუქში, რის გამო შვიდი დღის განმავლობაში ექსპედიცია დამწყვდეული იყო მიწის გომურში 2840 მეტრის სიმაღლეზე. ამჟამად სურათი უკვე დასრულებულია და უახლოეს დროში იქნება გამოშვებული თბილისის კინო-ეკრანზე.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა







უდიდეს ქარხნის ნავთსადენთა მილების სისტემა აშენებული ბათომში.

ნარინჯის და ფორთოხალის მოსავალი აჭარაში ამ წელს დიდად აღემატებოდა წინა წლების მოსავალს.

სურათზე: ნარინჯის და ფორთოხ ლის მოკრეფა.

აღმოსავლეთ საქართვ ლოში ზარებს ხსნიან და ქარხნებში აგზავნიან გადასადნობად, რათა გამოიყენონ სამეურნეო იარაღისთვის.



ამჟამად მთელს ამიერ-კავკასიაში სწარმოებს ფოსტა-ტელეგრაფის ხაზების და გადაცემის შემოწმება, რათა თავიდან აცილებულ იქნას აურებელი გაუგებრობა და შეცდომები.

სურათზე: თბილისის მთავარი ფოსტა-ტელეგრაფის შენობა პლაკატით, სადაც მოუწოდებენ მცხოვრებთ დაეხმარონ ცნობების მიწოდებით, შეცდომების გამოსასწორებლად.



ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირის მასშტაბით მუშების აურებელი განცხადება შედის პარტიაში მისაღებად.

სურათზე: თბილისის თამბაქოს ქარხნის მუშა კომუჯრედის მდივანს განცხადებას აძლევს პარტიაში მიღების შესახებ



აფხაზეთში აშენდა ახალი სახერხი ქარხანა.

სურათზე: სახერხის საწყობი.



ამიერ-კავკასიის და ჩრდილო-კავკასიის ქარხნებს შორის ხელშეკრულება დაიდო სოც. შეჯიბრებაში ინდუსტრიალიზაციის ტემპის დასაჩქარებლად და აღმშენებლობის წინ წასაწევად.

სურათზე: მუშა სოც. შეჯიბრების ხელშეკრულებას კითხულობს.



წყალტუბო—საზამთრო კურორტი.

წყალტუბოს კურორტი, რომელიც იმყოფება ქუთაისიდან 8 ვერსის მანძილზე, სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი აწყობს საზამთრო კურორტად. აქ იკურნებიან უმთავრესად ქარისგან და რევმატიზმისგან დახუთულები. სეზონში მკურნალობს 15000 ავადმყოფამდე.



თბილისის მაუდის ქარხანამ ასი კომკავშირელი ქალი და ვაჟი გაგზავნა მოსკოვსა და ლენინგრადში ფეიქრობის შესასწავლად და სათანადო კვალიფიკაციის მისაღებად. ამჟამად ისინი უკვე დაბრუნდნენ თბილისში და საქმეს შეუდგეს.

სურათზე: კომუჯრედის მდივანი ესაუბრება ახალ კადრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავ. № 219. ტირ. 5550. პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.